შერვუდ ანდერსონი

ღვთისმოსაობა

(მოთხრობათა კრებულიდან „ უაინსბურგი, ოჰაიო.“)

ინგლისურიდან თარგმნა: ზურაბ სონღულაშვილმა

თბილისი, 2020 წ.

ღვთისმოსაობა

თავი I

ბენთლების ფერმაში, სახლის ვერანდაზე და ბაღში მუდამ სამი ან ოთხი მოხუცი იჯდა ან ფუსფუსებდა. მათგან სამი ქალი იყო, ჯესის დები, მიმჭკნარი, ტკბილმოუბარი არსებები. მათთან ერთად იყო ჯესის ბიძაც, ჩუმი მოხუცი შეთხელებული ჭაღარა თმით. სახლი ხის იყო, ძელებით აშენებული და გარედან ფიცრებით დაფარული. სინამდვილეში, ერთი კი არა, რამდენიმე სახლი იყო ერთმანეთზე უწესრიგოდ გადაბმული. სახლში ბევრი რამე იყო უცნაური. სასტუმრო ოთახიდან სასადილო ოთახში მხოლოდ კიბით შეიძლებოდა შესვლა. დანარჩენ ოთახებსაც ერთმანეთთან ასეთივე კიბეები აკავშირებდათ. სადილობის დროს სახლი ფუტკრის სკას ემსგავსებოდა. ჩვეულებრივ, აქ სიჩუმე იყო, რომელსაც სხვადასხვა უხილავი კუთხეებიდან მოულოდნელად გამომძვრალი ადამიანები არღვევდნენ კარებების მიჯახუნებით, კიბეებზე ფეხების ბრაგუნით და ერთმანეთთან ჩურჩულით. ამ მოხუცების გარდა ბენთლების სახლში სხვებიც ცხოვრობდნენ. ოთხი მოსამსახურე მამაკაცი, დიასახლისი ქალი სახელად დეიდა ქელი ბიიბი, გონებასუსტი ელიზა სტოუგთონი, ლოგინების დმალაგებელი, რომელიც ამავე დროს მწველავობასაც ითავსებდა, ერთი მეჯინიბე ბიჭი და თვით ჯესი ბენთლი, მთელი ამ ავლადიდების ბატონ-პატრონი.

იმ დროს, როდესაც ამერიკის სამოქალაქო ომი უკვე ოცი წლის დასრულებული იყო, ოჰაიოს შტატის იმ მხარეში, სადაც ბენთლების ფერმა მდებარეობდა, პირველი დასახლებები გაჩნდა. ჯესიმ მაშინ ხორბლის სამკალი მანქანა იყიდა, თანამედროვე ბეღლები ააშენა და თითქმის ყველა მიწის ნაკვეთზე სადრენაჟე არხები გაიყვანა. ეს კაცი უკეთესად რომ გავიცნოთ, მოდით, ძველ დროში დავბრუნდეთ.

ჯესიმდე ჩრდილოეთ ოჰაიოში ბენთლების რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. ისინი აქ ნიუიორკის შტატიდან ჩამოვიდნენ და ამ მიწებს დაეპატრონენ. იმ დროს, ეს მხარე ჯერ ახალი ფეხადგმული იყო და მიწის ყიდვა ჯერ კიდევ იაფად შეიძლებოდა. როგორც ზოგადად შუა დასავლეთის ყველა სხვა ბინადარი, ბენთლებიც ძალიან ღარიბები იყვნენ. მიწა, რომელზედაც დასახლდნენ, ტყიანი იყო, წაქცეული ხეებით ჩახერგილი და დაბალი ბუჩქნარით დაფარული. ხე-ტყის ჭრაზე და კაფვაზე დაიხარჯული ხანგრძლივი და მძიმე შრომის მიუხედავად, ტყის ხის კუნძებისგან მთლიანად გასუფთავება მაინც ვერ მოხერხდა. მინდვრებში გატარებული გუთანი მიწისქვეშ ჩამალულ ფესვებში იბლანდებოდა. ირგვლივ ყველგან ქვები ეყარა, დაბლობები დაჭაობებული იყო, ნორჩი ხორბალი ყვითლდებოდა, ავადდებოდა და კვდებოდა.

როცა ჯესი ბენთლის მამა და ძმები ამ ადგილებს დაეპატრონენ, ტყის კაფვის ყველაზე მძიმე სამუშაოები უკვე წარსული ისტორიის ნაწილი იყო. ბენთლები, როგორც ძველი ტრადიციების მიმდევრები, ისევ ისე, უღელში შებმული პირუტყვებივით შრომობდნენ და იმ დროის ყველა სხვა ფერმერის მსგავსად ცხოვრობდნენ. გაზაფხულზე და თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში ქალაქ უაინსბურგში მიმავალი გზატკეცილები გაუვალი ტალახით იყო დაფარული. ოჯახის ოთხი ახალგაზრდა მამაკაცი მთელი დღე მინდორში თავდაუზოგავად შრომობდა. რა თქმა უნდა, საჭმელსაც მადიანად მიირთმევდნენ. ღამე კი ჩალის საწოლებზე ქანცგაწყვეტილებს ეძინათ. გარეგნულად მათ ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა, ძველებურად უხეშები და გაუთლელები დარჩნენ.

შაბათობით, შუადღეს, ძმები ცხენებს სამადგილიან ფურგონში შეაბავდნენ და ქალაქში მიემგზავრებოდნენ, სადაც ისინი დროს მაღაზიებში ღუმელებთან ატუზულები მაღაზიების მეპატრონეებთან და სხვა ფერმერებთან საუბარში კლავდნენ. მათ სამუშაო ტანსაცმელი ეცვ ათ. ზამთარში კი ზემოდან პალტოებს იცვამდნენ, რომლ ებიც მუდამ ტალახში იყო ამოგანგლული. ღუმელისკენ გაწვდილი მათი ხელები მუდამ სიცხისგან დამსკდარი და დაწითლებული იყო. ძმებს ლაპარაკი უჭირდათ. ამიტომ , ძირითადად ჩუმად იყვნენ. ხორცს, ფქვილს, შაქარს და მარილს რომ იყიდდნენ, ლუდის სასმელად ქალაქის რომელიმე დუქანში შედიოდნენ. როცა დალევდნენ, ყამირი მიწის დამორჩილების გმირული შრომისგან მიძინებული მათი ბუნებით ძლიერი ვნებები იღვიძებდნენ. რაღაცნაირი ბუნებრივი, ცხოველური, პოეტური გზნება შეიპყრობდათ. სახლში რომ ბრუნდებოდნენ, გზაში ფურგონის სკამებზე ფეხზე მდგომნი ყვირილით ვარსკვლავებს უხმობდნენ. ხან დიდხანს და გამწარებით ჩხუბობდნენ, ხანაც კი სიმღერას შემოსძახებდნენ. ერთხელაც, ბიჭებიდან ყველაზე უფროსმა, ენოქ ბენთლიმ მამამისს, მოხუც ტომ ბენთლის მედროგის მათრახის ტარი დაარტყა. მოხუცი სიკვდილის პირას იყო. ენოქი კი მთელი დღეები საჯინობოში, თივაში ჩამალული იწვა და გასაქცევად მზად იყო იმ შემთხვევაში, თუ მისი წამიერი აღელვება მამის მკვლელობით დასრულდებოდა. შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, დედას საჭმელი მიჰქონდა და დაშავებული მოხუცის მდგომარეობასაც ატყობინებდა. როცა ყველაფერი კეთილად დასრულდა, ენოქი სამალავიდან გამოძვრა და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისევ ტყის კაფვის სამუშაოს დაუბრუნდა.

სამოქალაქო ომმა ბენთლების ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. განსაკუთრებით უმცროსი შვილი, ჯესი დაწინაურდა. ენოქი, ედუარდი, ჰარი და უილ ბენთლები ყველა ჯარში გაიწვიეს და ხანგრძლივი ომის დამთავრებამდე ყველა მათგანი დაიღუპა. რაღაც დროის განმავლობაში, შვილების სამხრეთით გამგზავრების შემდეგ მოხუცი შეეცადა საქმეს მარტო გაძღოლოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როცა ოთხი შვილიდან უკანასკნელიც დაიღუპა, მოხუცმა ჯესის შეუთვალა,

სახლში დაბრუნებულიყო.

მოგვიანებით, დედაც გარდაიცვალა, რომელიც ბოლო ერთი წელი ავადმყოფობდა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ ტომ ბენთლიმ ყველაფრის ხალისი დაკარგა. გამუდმებით ფერმის გაყიდვაზე და საცხოვრებლად ქალაქში გადასვლაზე ლაპარაკობდა. მთელი დღე ბოლთას სცემდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. მინდვრის სამუშაოები გაჩერდა და ხორბლის ყანებში სარეველა გაჩნდა. მოხუცმა ტომმა მუშა ხელი დაიქირავა, მაგრამ საქმე ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანა. როგორც კი მუშები დილით მინდორში გავიდოდნენ, ტომი ტყეს მიაშურებდა და მთელი დღე ხის მორზე იჯდა. ზოგჯერ ღამე სახლში დაბრუნებაც კი ავიწყდებოდა და მისი ერთ-ერთი ქალიშვილი მის საძებნელად მიდიოდა.

როცა ჯესი ბენთლი სახლში დაბრუნდა და საქმეს სათავეში ჩაუდგა, იგი ოცდაორი წლის სუსტი და ნაზი აგებულების მამაკაცი გახლდათ. თვრამეტი წლის იყო სახლიდან რომ წავიდა და სკოლაში შევიდა, რომ ნასწავლი კაცი გამოსულიყო. საბოლოოდ პრესვიტერიანული ეკლესიის მოძღვარი უნდოდა გამხდარიყო. ყმაწვილობისას, ჯესი, როგორც ჩვენთან იტყვიან, „თეთრი ყვავი“ იყო და თავის ძმებს ვერ ეგუებოდა. ოჯახში მისი მხოლოდ დედას ესმოდა. ახლა, ისიც აღარ ჰყავდა ცოცხალი. ფერმის მართვას რომ შეუდგა, რომელიც იმხანად უკვე ექვსას აკრზე მეტ ფართობზე იყო გადაჭიმული, სხვა ფერმერებს და ახლომდებარე ქალაქ უაინსბურგის მაცხოვრებლებს ჯესის წამოწყება სასაცილოდაც არ ეყოთ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ საქმეს თავის დროზე ჯესის ოთხი ჯან-ღონით სავსე ძმა ძლივს უძღვებოდა. დაცინვის მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ, რადგან იმდროინდელი სტანდარტებით ჯესის მამაკაცს საერთოდ არ ჰგავდა. მას ჩია, ძლიერ გამხდარი და ქალური აღნაგობა ჰქონდა. როგორც ყველა ახალგაზრდა სასულიერო პირი, გრძელ შავ პალტოს და ვიწრო ჰალსტუხ-ზონარს ატარებდა. მეზობლებს დიდი ხნის უნახავი კაცის გამოჩენამ ღიმილი მოჰგვარა. მისი დაქორწინების ამბავმა ისინი უფრო მეტად გაახალისა. ჯესიმ და ქეთრინმა ქალაქში იქორწინეს.

ქეთრინი მალე გარდაიცვალა. მის სიკვდილში ბრალი სავარაუდოდ ჯესის მიუძღვოდა. სამოქალაქო ომის შემდგომ მძიმე წლებში ჩრდილოეთ ოჰაიოს ფერმაში სუსტი ქალის ადგილი არ იყო. ქეთრინ ბენთლი კი ნამდვილად სუსტი იყო. ჯესი ცოლს მკაცრად ეპყრობოდა, ისევე, როგორც ყველა ფერმის მუშას. მეზობელი ქალების მსგავსად ქეთრინიც ყველანაირ სამუშაოს ასრულებდა. საქონელს წველიდა, სახლის საქმეს აკეთებდა, მამაკაცების ლოგინებს ალაგებდა და მათთვის საჭმელს ამზადებდა. ჯესისაც ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ერთი წლის განმავლობაში ქალი ყოველ დღე მზის ამოსვლიდან გვიან ღამემდე მუხლჩაუხრელად შრომობდა. იგი მშობიარობის შემდეგ გარდაიცვალა.

რაც შეეხება ჯესი ბენთლის, ისიც ისეთივე სუსტი აგებულების კაცი იყო, მაგრამ მას ჰქონდა რაღაც ისეთი, რასაც ადვილად ვერ დაძლევდი. მისი ყავისფერი ხუჭუჭი თმა და ნაცრისფერი თვალები ხან მკაცრი და პირდაპირი და ხანაც მერყევი და თავდაუჯერებელი გამომეტყველებით იყურებოდნენ. იგი გამხდარი და ტანმორჩილი იყო. ბაგეები მრძნობიარე და ძალიან ჯიუტი ბავშვისა ჰქონდა. ჯესი ბენთლი ფანატიკოსი გახლდათ, თავისი დროის და ადგილისთვის შეუფერებელი კაცი, რომელიც თვითონაც იტანჯებოდა და სხვასაც ტანჯავდა. რაც ცხოვრებაში სურდა, ვერაფერს მიაღწია, თუმცა არც ის იცოდა, რა სურდა. სახლში დაბრუნებიდან სულ მოკლე ხანში მისი ყველას, მათ შორის მის ცოლსაც ეშინოდათ. ჩამოსვლიდან ორი კვირის თავზე მოხუცმა ბენთლიმ ჯესის მთელი ქონება საკუთრებაში გადასცა და თვითონ საქმეს ჩამოშორდა. ოჯახის სხვა დანარჩენი წევრებიც ასევე მოიქცნენ. ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის მიუხედავად ჯესი ადამიანების სულის მართვის ხელოვნებას საუცხოოდ ფლობდა. ყველა საქმეს სერიოზულად ეკიდებოდა. ამასთან ერთად, ჩიოდა, ჩემი არავის ესმისო. ჯესის წყალობით ფერმაში ყველა, როგორც არასოდეს, ისე მუშაობდა, მაგრამ ამ სამუშაოს არავისთვის სიხარული არ მოჰქონდა. თუ საქმე კარგად მიდიოდა, ეს მნიშვნელოვანი მხოლოდ ჯესისთვის იყო და არა მისი ხელქვეითი ადამიანებისთვის. როგორც სხვა ბევრი ძალ-ღონით სავსე მამაკაცი, რომლებიც ამერიკას უკანასკნელ წლების განმავლობაში მოევლინენ, ჯესის ძლიერებაც მხოლოდ სანახევრო იყო. მან სხვების მართვა კარგად იცოდა, საკუთარი თავის კი არა. ფერმის მართვა-გამგეობის საქმეში ადრე ყველას ხელი მოეცარა. ჯესის კი ეს ადვილად გამოუვიდა. როცა კლივლენდიდან სახლში დაბრუნდა, სადაც ის სკოლაში სწავლობდა, ყველას გაერიყა და გეგმების დაწყობას შეუდგა. დღე და ღამე ფერმაზე ფიქრობდა. წარმატებაც მალე მოვიდა. ფერმაზე და საქმეებზე განუწყვეტელი ფიქრი და ზრუნვა ჯესის დიდ შვებას ჰგვრიდა. ეს ყველაფერი მის ბუნებას ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებდა. როგორც კი სახლში დაბრუნდა, ძველი სახლის გააფართოვებაზე იზრუნა. დასავლეთის მხარეს ჩაშენებული დიდი ოთახის ფანჯრებიდან საქონლის სადგომი ეზო მოჩანდა, ხოლო დანარჩენი ფანჯრებიდან ხედი მინდვრებზე იშლებოდა. ჯესი ფანჯარასთან ჯდებოდა და ფიქრობდა. ასე გადიოდა საათები და დღეები. იგი საკუთარ მიწებს გაჰყურებდა და მომავალზე ოცნებობდა. უნდოდა იმდენი მოსავალი აეღო, რამდენიც მთელ შტატში არასდროს არავის აუღია. სხვა სურვილებიც ბევრი ჰქონდა. ეს უსაზღვრო წყურვილი მის ეჭვით სავსე თვალებში ადვილად იკითხებოდა, რის გამოც ადამიანებთან ურთიერთობაში ჯესი ხშირად დუმილს არჩევდა. სიმშვიდის სანაცვლოდ ბევრ რამეს დათმობდა, მაგრამ შინაგანად ეშინოდა, რომ ამას ვერ შეძლებდა. ჯესი ბენთლის სუსტი სხეულის ყოველი ნაწილიდან სიცოცხლე ჩქეფდა და მისი ძლიერი წინაპრების მთელი თაობების ძალასა და ენერგიას აერთიანებდა. იგი ყოველთვის სიცოცხლით სავსე იყო, მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ფერმაში ცხოვრობდა და ჭაბუკობის დროსაც, როცა უკვე

სკოლაში სწავლობდა. სკოლაში სწავლის დროს მთელი მისი გული და გონება ღმერთისა და ბიბლიის ირგვლივ ტრიალებდა. დრო გადიოდა, ჯესი წამოიზარდა და როცა ადამიანები უკეთ გაიცნო, თავის თავზე განსაკუთრებული წარმოდგენა შეექმნა. მეგობრებისგან განზე გადგა. ძალიან უნდოდა, ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის მიეღწია. ხედავდა, რომ მისი მეგობრები როგორც მძორები, ისე ცხოვრობდნენ და ვერ წარმოედგინა, თუ ოდესმე თვითონაც ასე მძორივით ცხოვრებას შეძლებდა. ამასთან ერთად, საკუთარ თავზე და ბედზე ზედმეტად მზრუნველი ვერ ამჩნევდა, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი როგორც ნამდვილი ჯანიანი ქალი, ისე მუშაობდა, თავს არ ზოგავდა, მაშინაც კი, როცა დაფეხმძიმდა და მუცელი გაეზარდა. სინამდვილეში, ჯესის ცოლისთვის ცუდი არ სურდა.

როდესაც მუშაობისგან დაჩაჩანაკებულმა მოხუცმა ტომ ბენთლიმ ჯესის ფერმა საკუთრებაში გადასცა და გარეგნულად კმაყოფილი ოთახის კუთხეში მიმჯდარი სიკვდილს ელოდა, ჯესიმ მხრები აიჩეჩა და მოხუცი მამა დავიწყებას მისცა.

ჯესი ოთახში ფანჯარასთან იჯდა და მემკვიდრეობით მიღებულ მიწებს გაჰყურებდა. საქმეებზე ფიქრობდა. საჯინიბოებიდან მისი ცხენების ფლოქვების თქარათქური და საქონლის ბღავილი ისმოდა. შორს კი, მინდვრებში სხვა საქონელი მწვანე გორაკებზე ბალახობდა. ფანჯრიდან დაქირავებული მუშების ხმა შემოდიოდა. ისმოდა რძის ფერმაში გონებასუსტი ელიზა სთოუგთონი კარაქს როგორ დღვებავდა.

ჯესი გონებით ძველ სახარებისეულ დროში დაბრუნდა. მიწები და ჯოგები ხალხს მაშინაც ჰქონდათ. გაახსენდა, ღმერთი ზეციდან როგორ ჩამოვიდა და ხალხს ესაუბრებოდა. ჯესისაც უნდოდა ღმერთის რჩეული გამხდარიყო და დალაპარაკებოდა. ის ხალხი დიდების შარავანდედით შეიმოსნენ. ჯესიც რაღაცნაირი ჭაბუკური ვნებით აენთო და მოუნდა მსგავს დიდებას თვითონაც ზიარებოდა. ჯესი ღვთისმოსავი კაცი იყო, ამიტომ ამ თემაზე ღმერთთან ყოველთვის ხმამაღლა საუბრობდა და საუბრის დროს საკუთარი ხმა მის მგზნებარებას უფრო ზრდიდა და აძლიერებდა. „მე ახალი ყაიდის კაცი ვარ, რომელიც ამ მინდვრებს დაეპატრონა“ - ამბობდა იგი. „ღმერთო, გადმომხედე მეც, ჩემს მეზობლებსაც და ყველა სხვასაც, ვინც აქ ჩემამდე ყოფილა! ღმერთო, დაბადე ჩემში ახალი ჯესი, მსგავსი იმ ძველისა, რომ ვიბატონო სხვებზე და გავხდე მამა შვილებისა, რომლებიც თვითონაც სხვებზე იბატონებენ!“ ხმამაღალი ღაღადით გაბრუებული ჯესი ფეხზე წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. წარმოიდგინა, რომ ძველ დროში და ძველ ხალხს შორის ცხოვრობდა. მის წინაშე გადაშლილი მიწა აღმატებული დიდებით შეიმოსა და მასზე ადამიანთა ახალი რასა დაიბადა. მოეჩვენა, რომ მის დროს, ისევე როგორც ძველად, სამეფოები იშვა და უფლის ძალით მოლაპარაკე რჩეულმა მსახურმა ადამიანებს ახალი სული

შთაბერა. მას ძალიან უნდოდა ასეთი მსახური თვითონ ყოფილიყო. „მე ამ მიწაზე იმისთვის მოვედი, რომ ღვთის საქმე ვაკეთო“ - წარმოსთქვა მან ხმამაღლა. მისი ტანმორჩილი სხეული დაიძაბა და მოეჩვენა, რომ თავზე ღვთიური თანხმობის შარავანდედი დაადგა.

თანამედროვე ადამიანისთვის ჯესი ბენთლის პიროვნება, ცხადია, რთული გასაგებია. ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. ეს ფაქტიურად რევოლუცია იყო. ინდუსტრიალიზმის განვითარებამ მთელი თავისი ღრიალ-გუგუნით, ხალხთა მიგრაციამ, მატარებლების მიმოსვლამ, ურბანიზაციამ, საქალაქთაშორისო ავტომაგისტრალების მშენებლობამ და ავტომობილის გამოგონებამ ცენტრალური ამერიკის მოსახლეობის ცხოვრება, ჩვევები და აზროვნება ძირეულად შეცვალა.

ცუდად მოფიქრებულმა და დაწერილმა წიგნებმა, რაც ალბათ ნაწილობრივ ჩვენი დროის ციებ-ცხელების ბრალია, თითოეული ჩვენთაგანის ოჯახში შემოაბიჯა. ჟურნალები მილიონიანი ტირაჟებით ვრცელდება. ისინი ყველგანაა. ახლა სოფლის მაღაზიაში ღუმელთან მდგარი ფერმერის ტვინი სხვათა ფრაზებით და გაზეთების და ჟურნალების ციტატებით არის გამოტენილი. ძველი ველური უმეცრება, რომელსაც ლამაზი ბავშვური მიამიტობაც თან ახლდა, წარსულს ჩაბარდა. ღუმელთან მდგარი ფერმერი ქალაქელს დაუძმობილდა და, თუ ყურს მიუგდებთ, დარწმუნდებით, რომ მისი საუბარიც, ჩვენისთანა სანიმუშო მოქალაქეების მსგავსად, სხარტი და უაზროა.

ჯესი ბენთლის დროს, ანუ სამოქალაქო ომის შემდეგ, ამერიკის შუა დასავლეთში ყველაფერი სხვაგვარად იყო. ადამიანები ბევრს მუშაობდნენ და დაღლილობისგან კითხვის თავიც კი აღარ ჰქონდათ. ისინი ქაღალდზე ნაბეჭდ სიტყვებს არ წყალობდნენ. მინდორში მუშაობისას თავში ბუნდოვანი, ნახევრად მომწიფებული ფიქრები მოსდიოდათ. მათ სწამდათ ღმერთი და ის, რომ მათი ცხოვრება ღმერთის განგებაზე იყო დამოკიდებული. ღვთის სიტყვის და საქმეების გასაგებად კვირაობით პატარა პროტესტანტულ ეკლესიებში იკრიბებოდნენ. იმ დროს ეკლესია სოციალური და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრი იყო და ღმერთს ადამიანების გულში უზარმაზარი ადგილი ეკავა.

ამიტომ, ჯესი ბენთლი, რომელიც თანდაყოლილი წარმოსახვის უნარით გამოირჩეოდა და არც ინტელექტი აკლდა, მთელი გულით უფლისკენ შებრუნდა. როცა ომმა მისი ძმები შეიწირა, მან ამაშიც ღვთის ხელი დაინახა. როცა მამამისი ავად გახდა და ფერმა უყურადღებოდ დარჩა, მან ეს ისევ ღმერთისგან მოცემულ ნიშნად ჩათვალა. ღამით, ქალაქის ქუჩებში ხეტიალის დროსაც ამაზე ფიქრობდა და როცა სახლში ბრუნდებოდა და ხედავდა, რომ ფერმის საქმეები კარგად მიდიოდა, კვლავ ტყეს და მთა-ბარს მიაშურებდა და დროს ისევ ღმერთზე ფიქრში ატარებდა.

ასეთი ხეტიალის დროს, ჯესის ტვინში რაღაც ღვთიური ძალით საკუთარი პიროვნების განდიდების იდეა სულ უფრო და უფრო მწიფდებოდა. იგი სიხარბემ შეიპყრო და ვერ ეგუებოდა იმას, რომ მხოლოდ ექვსი აკრი მიწის პატრონი იყო.

ჯესიმ მინდვრის პირას ღობის კუთხეში დაიჩოქა. სიჩუმეში მისი ხმის ექო ცას მისწვდა. მან ზევით აიხედა და თვალები მოციმციმე ვარსკვლავებს მიაპყრო.

ერთ საღამოს, მამის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როცა მის ცოლს ქეთრინს დღე-დღეზე უნდა ემშობიარა, ჯესი სახლიდან გავიდა. ბენთლების მიწები მდინარე უაინ კრიკის პატარა ხეობაში იყო გადაჭიმული. ჯესი მდინარის ნაპირებს გაუყვა და საკუთარი მიწების ბოლოს მიაღწია. იქიდან მეზობლების მინდვრებიც მოიარა. სიარულის კვალდაკვალ ხეობა ხან ფართოვდებოდა და ხანაც ისევ ვიწროვდებოდა. მის წინ მინდვრების და ტყის უზარმაზარი სივრცეები გადაიშალა. მთვარე ღრუბლებიდან გამოცურდა. ჯესი პატარა ბორცვზე ავიდა, დაჯდა და ფიქრებში ჩაიძირა. ჯესის სურდა, რომ ყველა ეს მიწა, მთლიანად მისი გამხდარიყო, რადგან იგი ღვთის ჭეშმარიტი მსახური იყო. მას გარდაცვლილი ძმები გაახსენდა. ის მათ ადანაშაულებდა, რადგან ფიქრობდა, რომ ძმებს უფრო მეტი რომ ემუშავათ, უფრო მეტს მიეღწევდნენ.

თვარის შუქზე პატარა ნაკადული ქვებზე მიჩუხჩუხებდა. ჯესის თვალწინ ძველი დროის ხალხი დაუდგა. ისინიც, როგორც ჯესი, მცხვრის ფარებს და მიწებს ფლობდნენ. ჯესი ბენთლი ფანტაზიებმა გაიტაცა, სადაც შიშიც იყო და სიხარბეც. მას ძველი აღთქმის ისტორია გაახსენდა, თუ როგორ გამოეცხადა ღმერთი იმ სხვა ჯესის (იესეს) და სთხოვა მისი შვილი დავითი ელაჰის ველზე გაეგზავნა, სადაც საული და ისრაელიანები ფილისტიმელებს ეომებოდნენ. ჯესის გონებაში გაიელვა რწმენამ, რომ უაინ კრიკის ხეობის მკვიდრი ყველა მიწათმფლობელი ფერმერი ფილისტიმელები და ღმერთის მტრები იყვნენ. „ვთქვათ და იშვა მათგან ის, ვინც ფილისტიმელი გოლიათის მსგავსად დამამარცხებს და ქონებას წამართმევს“, ჩურჩულებდა იგი თავისთვის. ჯესიმ შეიგრძნო შიში, რომელმაც, მისი აზრით ალბათ საულს გული დაუმძიმა, როცა მან დავითის ჩამოსვლა შეიტყო. ჯესი ფეხზე წამოხტა და ღამის წყვდიადში გაიქცა. გარბოდა და უფალს უხმობდა. მისი ხმა დაბალ მთებს შორს გასცდა. „იეჰოვა საბაოთ“, დაიყვირა მან, „გთხოვ, ამ ღამეს ქეთრინის საშოდან ვაჟი მომივლინე. დაე შენი მადლი გადმოვიდეს ჩემზე. გამომიგზავნე ვაჟი, რომელსაც დავარქმევ დავითს. ის დამეხმარება ყველა ეს მიწები ფილისტიმელებს ხელიდან გამოვგლიჯო და შენ მსახურებას და მიწიერი სამეფოს შექმნას მოვახმარო.“

თავი II

დეივიდ ჰარდი ოჰაიოს შტატის ქალაქ უაინსბურგიდან იყო. იგი ბენთლების ფერმების მესაკუთრის ჯესი ბენთლის შვილიშვილი გახლდათ. თორმეტი წლის რომ გახდა, დეივიდი საცხოვრებლად ბენთლების ძველ მამულში გადავიდა.

დედამისი, ლუაიზ ბენთლი ამ ქვეყანას იმ ღამეს მოევლინა, როცა მინდორში მორბენალი მისი ბაბუა ჯესი ბენთლი ღმერთს ვაჟის დაბადებას შესთხოვდა. ლუაიზი ფერმაში დაქალიშვილდა და ცოლად უაინსბურგელ ჯონ ჰარდის გაჰყვა. ეს უკანასკნელი ბანკირი გახდა. ლუაიზი და მისი ქმარი ერთად ბედნიერები არ იყვნენ და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამაში დამნაშავე ლუაიზი იყო. ლუაიზი პატარა ტანის ქალი გახლდათ, ნაცრისფერი თვალებითა და შავი თმით. მას ბავშვობიდან სიბრაზის შემოტევები ემართებოდა. მშვიდ მდგომარეობაში კი ხშირად გულჩათხრობილი და ჩუმი ხდებოდა. უაინსბურგში ხმები დადიოდა, რომ იგი სვამდა. მისი ბანკირი ქმარი, ყურადღებიანი და გამჭრიახი კაცი ყველანაირად ცდილობდა ცოლს თავი ბედნიერად ეგრძნო. ფული რომ იშოვა, მას უაინსბურგში, ელმ სთრითზე დიდი აგურის სახლი უყიდა და ქალაქში პირველი მამაკაცი იყო, ვინც ცოლისთვის მსახური-მეეტლე დაიქირავა. მიუხედავად ამისა, ლუაიზი ბედნიერი მაინც არ იყო. იგი შეშლილივით იქცეოდა. ხან სულ დუმდა, ხანაც კი ზედმეტად ხმაურიანი და ძალიან კონფლიქტური ხდებოდა. სიბრაზეში ილანძღებოდა და ტიროდა. სამზარეულოს დანით ქმარს მოკვლით ემუქრებოდა. ერთხელ, სახლს განზრახ ცეცხლი წაუკიდა. ხშირად, მთელი დღეებით თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და არავის ნახვა არ უნდოდა. მისი ასეთი ნახევრად განდეგილივით ცხოვრება მრავალი ჭორის მიზეზი გახდა. ხმები დადიოდა, ნარკოტიკებს იღებსო. იმასაც ამბობდნენ, ხალხს იმიტომ ემალება, რომ ხშირად სვამს და თავისი მდგომარეობის დაფარვას ამგვარად ცდილობსო. ზოგჯერ, ზაფხულის შუადღეს ლუაიზი სახლიდან გადიოდა, ეტლში ჯდებოდა, მეეტლეს სახლში უშვებდა და კოფოზე მჯდარი ეტლს ქალაქის ქუჩებში გიჟივით დააქროლებდა. თუ გზაზე შემთხვევით ფეხით მოსიარულეს გადაეყრებოდა, ეტლის გაჩერებაზე არც კი ფიქრობდა და შეშინებული მოქალაქე თავის გადარჩენას ძლივს ახერხებდა. ქალაქში ყველა ფიქრობდა, რომ ლუაიზი მზად იყო ეტლით მთელი ქალაქისთვის ზედ გადაევლო. ქუჩის კუთხეების მტვრევით და ცხენების მათრახის ცემით ქალაქის ქუჩებს რომ მოივლიდა, სოფელში ბრუნდებოდა. სოფლის გზებზე, როგორც კი სახლებს უკან მოიტოვებდა, ცხენებს დააოკებდა, ეტლს შეანელებდა და მისი ველური და თავზეხელაღებული სული წყნარდებოდა. ფიქრებში წავიდოდა და თავისთვის რაღაცეებს ბუტბუტებდა. ზოგჯერ, თვალზე ცრემლი მოადგებოდა. სხვა დროს, როცა ქალაქში ბრუნდებოდა, წყნარ ქუჩებში კვლავ გადარეულივით დაქროდა. რომ არა მისი ქმრის გავლენა და მის მიმართ ხალხის პატივისცემა, ლუაიზი ბევრ შემთხვევაში ციხეს ვერ ასცდებოდა.

ახალგაზრდა დეივიდ ჰარდი ამ სახლში ლუაიზთან იზრდებოდა და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი ბავშვობის წლები დიდად ბედნიერი ვერ იქნებოდა. მაშინ დეივიდი ძალიან პატარა იყო იმისთვის, რომ ზოგადად ადამიანებზე საკუთარი აზრი ჰქონოდა, მაგრამ ზოგჯერ, გარემოებებიდან გამომდინარე, მას ამ ქალის შესახებ, რომელიც მისი დედა იყო, სავარაუდოდ თავში გარკვეული ფიქრები მოსდიოდა. დეივიდი ყოველთვის ჩუმი და წესიერი ყმაწვილი იყო, იმდენად, რომ დიდი ხნის განმავლობაში უანსბურგელები მას ცოტა მოლენჩო ბავშვადაც კი თვლიდნენ. ბიჭს ყავისფერი თვალები ჰქონდა და ბავშვობაში საგნებზე და ადამიანებზე დაჟინებით მიშტერება დასჩემდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა , რომ იგი თვითონაც ვერ გრძნობდა, რას უყურებდა. თუ დედამისზე ვინმესგან რაიმე მკვახე სიტყვას გაიგონებდა, ან თუ ყურს მოკრავდა დედამისი მამამისს როგორ ლანძღავდა, შეშინებული გარბოდა და იმალებოდა. სამალავ ადგილს ყოველთვის ვერ პოულობდა და ამის გამო ხშირად დაბნეული გამოიყურებოდა. ასეთ დროს, სახით ხისკენ, ან თუ შენობაში იმყოფებოდა, კედლისკენ დგებოდა, თვალებს ხუჭავდა და ცდილობდა არაფერზე ეფიქრა. საკუთარ თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა და დრო და დრო ჩუმი ნაღველი შემოაწვებოდა. სამაგიეროდ, დეივიდი უზომოდ კმაყოფილი და ბედნიერი იყო, როცა ბაბუასთან ბენთლების ფერმაში ჩადიოდა. ხშირად უნატრია, უკან ქალაქში არასოდეს დაბრუნებულიყო და როცა ფერმაში დიდხანს დარჩენის შემდეგ სახლში დაბრუნება უწევდა, რაღაც ისეთი რამ ემართებოდა, რაც მის გონებაზე ხანგრძლივ ზემოქმედებას ახდენდა.

ერთხელ, დეივიდი ქალაქში ერთ-ერთ მოჯამაგირესთან ერთად დაბრუნდა. მოჯამაგირეს თავის საქმეებზე მიეჩქარებოდა და ბიჭი იმ ქუჩის ბოლოში დატოვა, სადაც ჰარდების სახლი იდგა. შემოდგომის ადრეული ბინდი იდგა. ცა ღრუბლებით მოიქუფრა. დეივიდს რაღაც დაემართა. იმ სახლში დაბრუნება აღარ შეეძლო, სადაც დედ-მამა ცხოვრობდა. გადაწყვიტა ისევ ბაბუასთან ფერმაში დაბრუნებულიყო, მაგრამ გზა აებნა და რამდენიმე საათის განმავლობაში შეშინებული და ატირებული სოფლის შარა-გზებზე იხეტიალა. გაწვიმდა და ცა ელვამ გაანათა. ბიჭუნას ფანტაზიები აეშალა და სიბნელეში უცნაური რაღაცეები ესმოდა და ეჩვენებოდა. ეგონა, რომ რაღაც საშინელ უფსკრულში მიექანებოდა. მის ირგვლივ უკიდეგანო სიბნელე იყო. ქარი ხეებს საშინელი ხმით არხევდა. როცა გზაზე ცხენების რემა გამოჩნდა, დეივიდს შეეშინდა, ღობეზე გადაძვრა და მინდორში გაიქცა. იქამდე გარბოდა, სანამ სხვა გზაზე არ გავიდა. მუხლებზე დაეცა და თითები რბილი მიწაში ღრმად ჩაასო. შიშისგან წარმოიდგინა, რომ სიბნელეში ბაბუას ვეღარასოდეს იპოვიდა. სამყარო დაცარიელებული ეჩვენა. ბედად, მისი ტირილის ხმა ქალაქიდან სახლში მიმავალმა ერთ-ერთმა ფერმერმა გაიგონა და მამამისის სახლში დააბრუნა. სახლში რომ მიიყვანეს, დეივიდი ისეთი დაღლილი იყო, რომ რა მოხდა, აღარ ახსოვდა. შვილის გაუჩინარების შესახებ დეივიდის მამამ სულ შემთხვევით იმ მოჯამაგირესგან შეიტყო, რომელიც მას ქუჩაში შეხვდა. მან უთხრა, რომ ბავშვი სახლში დაბრუნდა, მაგრამ ბიჭი სახლში

რომ არ მოვიდა, განგაში ატეხეს და ჯონ ჰარდი რამდენიმე თანამოქალაქესთან ერთად მის ძებნას შეუდგა. ამბავი დეივიდის მოტაცების შესახებ უაინსბურგის ქუჩებს მოედო. სახლში რომ მოიყვანეს, შუქები ჩამქრალი იყო, მაგრამ დედა შეეგება და გულში მხურვალედ ჩაიკრა. ეხლა დეივიდის გვერდით აშკარად სულ სხვა ქალი იდგა. არ ჯეროდა, რომ ასეთი გასაოცარი რამ ხდებოდა. ლუაიზ ჰარდიმ მისი დაღლილი სხეული საკუთარი ხელებით დაბანა და საჭმელი მოუმზადა. დედა დასაძინებლად არ უშვებდა, მაგრამ როცა ბიჭმა ღამის პერანგი ჩაიცვა, ლუაიზმა სანთელი ჩააქრო, სკამზე ჩამოჯდა და ბიჭი გულში ისევ მაგრად ჩაიკრა. მთელი საათი დედა სიბნელეში იჯდა და ბიჭს ხელს არ უშვებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში დედა ბიჭს ჩუმად ელაპარაკებოდა. დეივიდს ვერ გაეგო იგი ასე რამ შეცვალა. დედის ჩვეულებრივ უკმაყოფილი სახე ყველაზე მშვიდი და სათნო გახდა, რაც ადრე არასოდეს ენახა. როცა ბიჭს გული ამოუჯდა, დედამ გულში კიდევ უფრო მაგრად ჩაიხუტა. ქალი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა. ახლა მისი ხმა ისეთი უხეში და ყურისწამღები არ იყო, როგორც მაშინ, როცა ქმარს ლანძღავდა. იგი ხეზე წვიმის წვეთების დაცემასავით ისმოდა. ხალხი კარებთან მოდიოდა და ლუაიზს წუხილით ატყობინდებდა, ბიჭი ვერ ვიპოვეთო. ლუაიზმა შვილი არ გამოაჩინა. დეივიდს ანიშნა, ხმა არ ამოეღო, სანამ ის ხალხი სახლიდან არ გაისტუმრა. ბიჭს ეგონა, რომ ეს თამაში იყო, რომელშიც დედამისი და სხვა ქალაქელები მონაწილეობდნენ. მას მხიარულად გაეცინა. თავში ფიქრმა გაუელვა, რომ არც მისი დაკარგვა და არც სიბნელის შიში არაფერს ნიშნავდა და უცებ მოუნდა ასეთი შიში კიდევ მრავალჯერ გამოეცადა, რომ გრძელი და ბნელი გზის ბოლოს დედამისივით სიხარულის მომტანი ვინმე ან რამე დახვედროდა.

ჭაბუკობის ბოლო წლებში დეივიდი დედამისს იშვიათად ხედავდა. ამიტომ, დედა მისთვის მხოლოდ ერთი ჩვეულებრივ ქალი იყო, ვისთანაც იგი ერთ დროს ცხოვრობდა. დედის სახეს მაინც ვერ ივიწყებდა და ასაკის მატებასთან ერთად უფრო გამოკვეთილი ხდებოდა. თორმეტი წლის რომ გახდა, დეივიდი საცხოვრებლად ბენთლების ფერმაში გადავიდა.

მოხუცი ჯესი ქალაქში ჩავიდა და დეივიდზეე მზურნველობის უფლება დაჟინებით მოითხოვა. მოხუცი აღელვებული იყო და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საქმე თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. ჯესი ჯერ ჯონ ჰარდის მის უაინსბურგის შემნახველი ბანკის ოფისში დაელაპარაკა, შემდეგ კი ორივე ერთად ელმ სთრითზე მდებარე სახლში ლუაიზთან სალაპარაკოდ გაემართნენ. ბაბუაც და შვილიშვილიც ელოდნენ, რომ ლუაიზი ერთ ამბავს ატეხდა, მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ქალს თავი მშვიდად ეჭირა და როცა ჯესიმ მისი ჩამოსვლის მიზეზი აუხსნა და ლაპარაკი ბიჭის სუფთა ჰაერზე და ძველი ფერმის მშვიდ გარემოში ყოფნის უპირატესობებზე ჩამოუგდო, ლუაიზმა თავი თანხმობის ნიშნად დაუქნია. „იქაურობა ჩემი იქ ყოფნით აღარ არის მოწამლული. ბიჭისთვის იქ შესაფერისი ადგილია. მე კი იქ აღარაფერი მესაქმება. თქვენ ჩემი იქ ყოფნა

არასოდეს გინდოდათ და, რა თქმა უნდა, ვერც თქვენი სახლის ჰაერმა მარგო. მე იგი სისხლს მიწამლავდა, მაგრამ დეივიდისთვის ყველაფერი სხვანაირად იქნება“ მკვეთრად წარმოთქვა მან ეს სიტყვები და მხრები ისე აუტოკდა თითქოს სადაც არის მოთმინება უნდა დაეკარგა. ლუაიზი მიტრიალდა, ოთახიდან გავიდა და ორივე მამაკაცი უხერხულ სიჩუმეში დატოვა. როგორც ადრე ხშირად ხდებოდა, ამ ამბის შემდეგაც ლუაიზი თავისი ოთახიდან მთელი დღეების განმავლობაში არ გამოდიოდა. არც შვილთან დასამშვიდობებლად გამოსულა. შვილის წასვლის გამო მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. მან ქმართან კამათის ხალისი დაკარგა. ჯონ ჰარდიმ კი ჩათვალა, რომ ყველაფერი სასიკეთოთ დასრულდა.

ასე და ამგვარად, დეივიდი საცხოვრებლად ჯესისთან, ბენთლების ფერმაში გადავიდა. მოხუცი ჯესის ორი და ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და მასთან ერთად ცხოვრობდნენ. მათ ჯესის ძალიან ეშინოდათ და მისი თანდასწრებით ხმას იშვიათად იღებდნენ. მათგან ერთ-ერთი, რომელსაც ახალგაზრდობაში ღაჟღაჟა წითური თმა ჰქონდა, ძლიერი თანდაყოლილი დედური ინსტიქტით გამოირჩეოდა და ამიტომ ბიჭზე მზრუნველობაც მან იკისრა. ყოველ ღამე, როცა დეივიდი დასაძინებლად მიდიოდა, ქალი დეივიდის ოთახში შედიოდა, იატაკზე ჯდებოდა და ბიჭს თვალს არ აშორებდა. როცა ბიჭს ძილი მოერეოდა, ქალს გაბედულება ემატებოდა და თავისთვის რაღაცეებს ბუტბუტებდა. ბიჭს ეს ყველაფერი სიზმარი ეგონა. ქალი ჩუმი და ტკბილი ხმით მოფერებით ეძახდა და ბიჭი სიზმარში ცხადად ხედავდა, რომ მასთან დედამისი დაბრუნდა და რომ იგი ისეთი გამოცვლილი იყო, როგორც მაშინ, როცა დეივიდი გაქცეული იპოვეს და სახლში დააბრუნეს. ბიჭსაც გაბედულება ემატებოდა, საწოლიდან ხელს გაიშვერდა და იატაკზე მჯდომ ქალს სახეზე ეფერებოდა. ქალიც ამით ძალიან ბედნიერი იყო. ბიჭის ჩამოსვლამ ძველ სახლში ყველა გაახარა. ჯესი ბენთლის უხეში და ჯიუტი ხასიათი, რის გამოც სახლში სიჩუმე და შიში ბატონობდა და ადრე ახალგაზრდა ლუაიზმაც ვერაფერი მოუხერხა, ბიჭის ჩამოსვლამ აშკარად შეცვალა. თითქოს ღმერთმა წყალობა მოიღო და მოხუცს ვაჟიშვილი მისცა. მოხუცმა თავი უაინ კრიკის მთელ ხეობაში ღვთის ჭეშმარიტ მსახურად გამოაცხადა და ღვთისგან თანხმობის ნიშანს ელოდებოდა, რაც ქეთრინის საშოდან ვაჟიშვილის დაბადებას გულისხმობდა. ჯესიმ დაიჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს ღმერთმა მისი ლოცვა-ვედრება შეისმინა. იმ დროს იგი მხოლოდ ორმოცდათხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ ბევრი ფიქრისა და ზრუნვისგან გადაღლილი სამოცდაათი წლის კაცს ჰგავდა. ახალი მიწების შეძენასთან დაკავშირებული მისი ყველა მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. შედეგად, ველზე თითქმის ყველა მიწა მას ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, დეივიდის ჩამოსვლამდე ჯესი მწარედ იმედგაცრუებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ჯესი ბენთლი მთელი თავისი ცხოვრება ორი გავლენის ქვეშ იყო და მის გონებაში ეს ორი გავლენა ერთმანეთს ებრძოდა. პირველი იყო ის, რაც მასში დიდი ხანია ცხოვრობდა, სურვილი, ღვთის კაცი და ღვთის კაცთა წინამძღოლი გამხდარიყო.

ღამით ტყე-მინდვრებში ხეტიალმა ჯესი ბუნებასთან დააახლოვა და ამ ღრმად მორწმუნე კაცში დაგროვილი ენერგია ბუნების ძალებს შეერწყა. იმედგაცრუება, რომელიც მას დაეუფლა, როცა ქეთრინს ვაჟიშვილის ნაცვლად ქალიშვილი შეეძინა, მისთვის რომელიღაც უჩინარი ხელით მიყენებული დარტყმა იყო, რომელმაც ჯესის განდიდების მანიას საფუძველი შეურყია. მას ჯერ კიდევ სწამდა, რომ ღმერთი ნებისმიერ დროს ქარიდან ან ღრუბლებიდან გამოეცხადებოდა, თუმცა, ასეთ შკარა აღიარებას აღარ ითხოვდა. ამის ნაცვლად, იგი მხოლოდ ლოცულობდა. ზოგჯერ ეჭვები შეიპყრობდა, თავის უიღბლობაზე ჩიოდა, რის გამოც მას თითქოს არ შეეძლო უფრო მარტივ და ტკბილ დროში ეცხოვრა, როცა ზეცაში რომელიღაც უცნაური ღრუბლის ნებით ადამიანები მშობლიურ მიწას და სახლს ტოვებდნენ და ახალი რასის დაბადებისთვის უდაბნოში მიდიოდნენ. სანამ ჯესი შრომაში დღე-ღამეს ასწორებდა, რომ მეტი მოსავალი აეღო და მეტი მიწები ეყიდა, ნანობდა, რომ არ შეეძლო მისი უშრეტი ენერგია სასახლეების მშენებლობისთვის, ურწმუნოთა მოკვდინებისთვის და ზოგადად დედამიწაზე ღვთის სახელის სადიდებლად გამოეყენებინა. ეს იყო, რისკენაც ჯესი მიილტვოდა.

ჯესიმ მოწიფულობაში ფეხი ამერიკის სამოქალაქო ომის შემდგომ წლებში შედგა და ყველა მისი თანამედროვეს მსგავსად, ინდუსტრიალიზმის განვითარებით გამოწვეული მნიშვნელოვანი გავლენების ქვეშ მოექცა. ჯესიმ ახალი მანქანა-მოწყობილობები შეიძინა, რომლებმაც მას საშუალება მისცა სამუშაო ნაკლები მუშა-ხელის გამოყენებით შეესრულებინა. ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, რომ უფრო ახალგაზრდა, რომ ყოფილიყო ფერმერობას თავს დაანებებდა და უაინსბურგში მანქანა-მოწყობილობების მწარმოებელ ქარხანას გახსნიდა. მან მავთულის ღობის დამამზადებელი მანქანა გამოიგონა. სადღაც, გონების კუნჭულში იგი გრძნობდა, რომ ძველი დროების ის გარემო და ადგილები, რომლებსაც მისი გონება მუდამ თავს დასტრიალებდა, სხვათა აზროვნებისთვის უცხო და უცნაური იყო. მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მატერიალისტური ეპოქის დაბადებამ, როცა ომებში პატრიოტიზმის გარეშე იბრძოდნენ, როცა ადამიანებმა ღმერთი დაივიწყეს და მხოლოდ ზნეობრივი ნორმებით ცხოვრობდნენ, როცა ძალაუფლებისადმი სწრაფვა სხვათა მსახურების სურვილმა, ხოლო სილამაზე მესაკუთრეობის საშინელმა და დაუოკებელმა ვნებამ შეცვალა, თავისი დაღი სხვებთან ერთად ჯესი ღვთისკაცსაც დაასვა. მის ხარბ „მე“-ს ფულის უფრო სწრაფად შოვნა მოუნდა, რაც მიწის დამუშავებით ნაკლებად შესაძლებელი იყო. ჯესი ამ თემაზე თავის სიძესთან ჯონ ჰარდისთან სასაუბროდ უაინსბურგში რამდენჯერმე ჩავიდა. „შენ ბანკირი ხარ და ისეთი შანსები გაქვს, როგორიც მე არასდროს მქონია,“ თვალებანთებულმა მიმართა ჯესიმ ჯონს. „სულ ამაზე ვფიქრობ. ქვეყანაში დიდი ამბები მოხდება. იმდენი ფული გაკეთდება, რამდენიც ჩვენ სიზმარშიც არ გვინახავს. მოკიდე ხელი ამ საქმეს. ნეტავ უფრო ახალგაზრდა ვიყო და შენი შესაძლებლობები მომცა.“ ჯესი ბენთლი ბანკის ოფისში ბოლთას სცემდა და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო მეტი აღელვება ეტყობოდა. ჯესიმ ადრე დამბლა გადაიტანა, რის გამოც

სხეულის მარცხენა ნაწილი დაუსუსტდა და ლაპარაკის დროს ქუთუთოები უკანკალებდა.

ჯესი სახლში ბრუნდებოდა. დაღამდა და ცა ვარსკვლავებმა გაანათა. მას ძველ განცდებში დაბრუნება უჭირდა. ღმერთმა, რომელიც ზევით ზეცაში ცხოვრობდა, რაღაც მომენტში მას ხელი მხარზე შეახო და საგმირო საქმეების კეთება შთააგონა. ჯესის გონება ჟურნალ-გაზეთებში წაკითხული ამბების ირგვლივ ტრიალებდა, რომლებშიც გაქნილი ადამიანები დიდი ძალისხმევის გარეშე მხოლოდ ყიდვა-გაყიდვით მდიდრდებოდნენ. ჯესისთვის შვილიშვილის ჩამოსვლამ მის ძველ რწმენას ახალი ენერგია შთაბერა და ირწმუნა, რომ ღმერთმა მას ბოლოს და ბოლოს წყალობის თვალით გადმოხედა.

დეივიდისთვის კი ფერმაში ცხოვრება მრავალი ახალი და ბედნიერი განცდებით იყო სავსე. ბიჭის მიმართ გარშემომყოფთა კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ მისი გულჩათხრობილი ბუნება და ადამიანებთან მისი ხშირად მორცხვი და მერყევი დამოკიდებულება შეცვალა. საჯინიბოში, მინდორში ან ბაბუასთან ერთად ფერმიდან ფერმაში ეტლით მგზავრობის შემდეგ, დასაძინებლად წასვლამდე, უნდოდა სახლის ყველა ბინადარი სათითაოდ გულში ჩაეკრა. როცა შერლი ბენთლი, რომელიც ყოველ ღამე ბიჭის საწოლის გვერდით იატაკზე იჯდა, მოსვლას დააგვიანებდა, კიბის ზედა მოედნიდან ვიწრო კორიდორებში, სადაც ადრე ჩვეულებრივ სიჩუმე იყო, ბიჭის ნორჩი და წკრიალა ხმა ისმოდა. დილაობით, როცა ბიჭი იღვიძებდა და ჯერ კიდევ ლოგინში იწვა, ფანჯრებიდან შემოსული ხმები მის გულს სიხარულით ავსებდა. დეივიდს უაინსბურგში მისი წარსული ცხოვრება გულის კანკალით აგონდებოდა, დედამისის ბრაზიანი ხმა კი შიშის ჟრჟოლას გვრიდა. აქ კი, სოფელში, ყველა ხმას სიხარული მოჰქონდა. რიჟრაჟზე ბიჭი სახლის უკანა ეზოში მდებარე საჯინობო ეზოს ბინადრებთან ერთად იღვიძებდა. ამ დროს სახლიც ახმაურდებოდა. გონებასუსტ ელიზა სთოუგთონს ფერმის მუშა გვერდებში უღიტინებდა და ისიც ხმამაღლა ხითხითებდა. შორს, მინდორში ძროხის ღმუილს ასეთივე ღმუილით ბოსლიდან სხვა საქონელი პასუხობდა. ფერმის ერთ-ერთი მუშა საჯინიბოს კარებთან ცხენს ვარცხნიდა და თან რაღაცას გაბრაზებით ელაპარაკებოდა. დეივიდი საწოლიდან წამოხტებოდა და ფანჯარასთან მიირბენდა. ეს მოფუსფუსე ხალხი ბიჭს მხიარულ გუნებაზე აყენებდა. თან დედამისზე ფიქრობდა, აინტერესებდა, ნეტავ ამ დროს დედამისი რას აკეთებდა. დეივიდის საწოლი ოთახის ფანჯრიდან საჯინიბო ეზო არ ჩანდა, მაგრამ ბიჭს მოსამსახურეების ხმები და ცხენების ჭიხვინი ესმოდა. იქ ეხლა ფერმის მუშები შეკრებილიყვნენ და დილის საქმეებით იყვნენ დაკავებულნი. როცა ვინმე გაიცინებდა, დეივიდსაც ეცინებოდა.

დეივიდი ღია ფანჯრიდან გადაიხარა და ხეხილის ბაღში გაიხედა, სადაც ჩასუქებული დედა ღორი პაწაწინა გოჭებთან ერთად აქეთ-იქით დააბიჯებდა. ბიჭი

ყოველ დილით გოჭებს ითვლიდა. „ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი,“ ამბობდა იგი ნელა და სველი თითით ფანჯრის რაფაზე ციფრები გამოყავდა.

დეივიდი გაიქცა და შარვალი და პერანგი ჩაიცვა. ძალიან მოუნდა, გარეთ გასულიყო. ყოველ დილას, კიბეებზე ისეთი ხმაურით ჩარბოდა, რომ დიასახლის დეიდა ქელის ეშინოდა თავზე სახლი არ ჩამონგრეოდა. ბიჭი ძველი სახლიდან კარების ხმაურიანი მიჯახუნებით საჯინიბო ეზოში გავარდებოდა და რაღაც სასწაულის მოლოდინის გამომეტყველებით აქეთ-იქით იყურებოდა. ჯეროდა, რომ გასულ ღამეს იქ საოცარი ამბები უნდა დატრიალებულიყო. ფერმის მუშები უყურებდნენ და ეცინებოდათ. ჰენრი სტრედერი, მოხუცი კაცი, რომელიც ჯესისთან ფერმის შეძენის დროიდან მუშაობდა და დეივიდის ჩამოსვლამდე ხუმარა კაცის რეპუტაციით ნამდვილად არ სარგებლობდა, ყოველ დილით ხუმრობის ხასიათზე დგებოდა. დეივიდს ეს ძალიან ართობდა, იცინოდა და ტაშს უკრავდა. „აბა, ერთი აქ მოდი და შეხედე,“ ყვიროდა მოხუცი. „ბაბუა ჯესის თეთრ ფაშატს შავი წინდები ჩაუცვამს.“

ხანგრძლივი ზაფხულის განმავლობაში, თითქმის ყოველ დღე, ჯესი ბენთლი უაინ კრიკის ველზე მდებარე ერთი ფერმიდან მეორე ფერმაში გადადიოდა და შვილიშვილიც თან დაჰყავდა. ისინი კომფორტული ფაეტონით მგზავრობდნენ. რომელშიც თეთრი ცხენები იყო შებმული. გზაში მოხუცი თეთრ წვერს იფხანდა და თავის თავს ელაპარაკებოდა. გეგმებს აწყობდა, მინდვრებში მოსავლის ნაყოფიერება როგორ გაეზარდა. ჯეროდა, რომ ამ გეგმებში ღმერთის ხელი ერია. ზოგჯერ, მოხუცი დეივიდს შეხედავდა და ბედნიერად გაიღიმებდა. შემდეგ კი, ბიჭის არსებობა დიდი ხნით ავიწყდებოდა. ყოველ დღე მისი გონება ოცნებებში უფრო და უფრო ღრმად იძირებოდა. ეს ოცნებები მის წარმოსახვაში ქალაქიდან სოფელში საცხოვრებლად გადმოსვლის დღიდან ცოცხლობდნენ. ერთხელ, შუადღეს, დეივიდი საშინლად შეშინდა, როცა ამ ოცნებებმა მოხუცი მთლიანად დაიმორჩილა. იმ დღეს ისინი ერთად იყვნენ. მოხუცმა რაღაც რიტუალი შეასრულა, რომელსაც დეივიდი შეესწრო. ეს ყველაფერი იმ შემთხვევით დასრულდა, რომელმაც ბაბუის და შვილიშვილის მეგობრობა კინაღამ საფუძველი გამოაცალა.

იმ დღეს, ჯესი და მისი შვილიშვილი სახლიდან რამდენიმე მილის მოშორებით არსებული ველის შორეულ ნაწილში მიემგზავრებოდნენ. გზა ტყის პირს მიუყვებოდა. ტყეში პატარა მდინარე უაინ კრიკი ქვებს შორის კლაკვნით გზას რომელიღაც შორეული მდინარისკენ მიიკვლევდა. ჯესი მთელი შუადღე მედიტაციურ განწყობაზე იყო იქამდე, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა. მას ის ღამე გაახსენდა, როცა შიშმა აიტანა, რომ წარმოიდგინა გოლიათი მის ქონებას როგორ იტაცებდა. ის ღამეც, როცა მინდორში დარბოდა და ღმერთს ვაჟიშვილის მიცემას სთხოვდა. ჯესი მღელვარებისგან სიგიჟის ზღვარზე იყო. მან ცხენი გააჩერა, ეტლიდან გადმოვიდა და დეივიდს სთხოვა იგივე გაეკეთებინა. ბაბუა-შვილიშვილი ღობეზე გადაძვრნენ და მდინარის ნაპირს გაუყვნენ. ბიჭი ბაბუის

ბუტბუტს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მას უკან მიყვებოდა. აინტერესებდა, რა მოხდებოდა. გზაზე კურდღელი გადმოხტა და ტყეში გაიქცა, რამაც ბიჭი ისე გაახარა, რომ ტაში დაუკრა და სიხარულისგან აკუნტრუშდა. დეივიდმა მაღალ ხეებს ახედა და ინატრა ნეტავ პატარა ჩიტად გადაქცეულიყო და ყოველგვარი შიშის გარეშე ყველაზე მაღალ ხის კენწეროს ზედ მოქცეოდა. დეივიდი დაიხარა, პატარა ქვა აიღო და ისროლა. ქვამ ბაბუას თავზე გადაუფრინა და ბუჩქებში ჩავარდა. „გაიღვიძე, პატარავ, ხის კენწეროზე აცოცდი," დაიყვირა ბიჭმა. თავდახრილი და აღელვებული ჯესი ბენთლი ხეების ქვეშ შევიდა. მოხუცის პირქუშმა გამომეტყველებამ ბიჭი შეაშინა. ჯესი ჩუმად იყო და შეშფოთებული ჩანდა. მოხუცს მოეჩვენა, რომ დადგა, დრო როცა ზეციდან ღვთის სიტყვას ან რაიმე სხვა ნიშანს მიიღებდა და მოხდებოდა სასწაული, რომელსაც იგი ამდენი ხანია ელოდა და რაც გარდაუვალი იყო. „ზუსტად ასეთ ადგილას მწყემსავდა დავითი ცხვარს, როცა მამამისი მოვიდა და უთხრა საულთან წასულიყო," ჩაიბუტბუტა მოხუცმა. მან შვილიშვილს მხარზე ხელი უხეშად წაავლო. ჯესიმ ხის მორს გადააბიჯა, ხეებს შორის მოშიშვლებულ ადგილას გავიდა, მუხლებზე დაეცა და ხმამაღლა ლოცვას მოყვა. ბიჭი აქამდე განუცდელმა შიშმა შეიპყრო. იგი ხეს ქვეშ მოიკუნტა, თან მის წინ დაჩოქილ მოხუცს უყურებდა. დეივიდს მუხლები აუკანკალდა. მოეჩვენა, რომ ეს კაცი ბაბუამისი კი არა, სხვა ვიღაც უცხო კაცი იყო, ვისაც შეეძლო მისთვის ზიანი მიეყენებინა, ვიღაც ბოროტი, საშიში და დაუნდობელი. ბიჭმა ტირილი დაიწყო, დაიხარა, მიწიდან პატარა ჯოხი აიღო და ხელში მაგრად ჩაბღუჯა. ფიქრებში ჩაძირული ჯესი ბენთლი უცბად ფეხზე წამოვარდა და ბიჭისკენ წავიდა. ბიჭის შიშმა იმატა და მთელი სხეული აუცახცახდა. ტყეში, სადაც ყველაფერი ღრმა სიჩუმეს მოეცვა, უცბად მოხუცის უხეში და მტკიცე ხმა გაისმა. ჯესიმ ბიჭს მხრებში ხელი ჩაავლო, სახე ცისკენ აღაპყრო და დაიღრიალა. სხეულის მთელი მარცხენა ნაწილი უკანკალებდა. ბიჭის მხარზე მოკიდებული ხელიც კანკალმა აიტანა. „ღმერთო, მომეცი ნიშანი," შესძახა მოხუცმა. „მე აქ ვარ, დეივიდთან ერთად. ჩამოდი ზეციდან ჩემთან და მამცნე შენი არსებობის შესახებ." დეივიდმა შიშისგან დაიყვირა, მოხუცს ხელიდან გაუსხლტა და ტყეში შევარდა. ვერ წარმოედგინა, რომ კაცი, რომელიც ცას შეჰყურებდა და ხმამაღლა ყვიროდა, ბაბუამისი იყო. იგი ბაბუამისს სულ არ გავდა. ბიჭმა დაიჯერა, რომ რაღაც უცნაური და საშინელი რამ მოხდა, რომლის ძალითაც, რაღაც სასწაულით, კეთილი მოხუცი კაცის სხეულში საშიში და ბოროტი არსება ჩასახლდა. ბიჭი გულამოსკვნილი მთის ფერდობზე მირბოდა. ფეხი ხის ფესვებს წამოკრა, წაიქცა, წამოდგა და კვლავ გაქცევა სცადა, მაგრამ თავი ისე ეტკინა, რომ ისევ წაიქცა და ხმას არ იღებდა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა იგი ჯესის ხელში აყვანილი ეტლისკენ მიყავდა და თავზე ნაზად ეფერებოდა. დეივიდს შიში გაუქრა. „წამიყვანე აქედან. იქ ტყეში საშინელი კაცია," თქვა მან. უკანა გზაზე ჯესიმ მზერა კვლავ ხეების კენწეროების ზევით ზეცას მიაპყრო და მის ბაგეებს ღვთისადმი ღაღადი აღმოხდა. „რა დავაშავე ასეთი, რომ არ მწყალობ," ხმადაბლა ჩაიჩურჩულა მან. ამ სიტყვებს კვლავ და კვლავ იმეორებდა და თან ეტლს გზაზე

სწრაფად მიაქროლებდა და მის მხარზე მიდებული ბიჭის ნატკენი და დასისხლიანებული თავი ხელით ნაზად ეჭირა.

თავი III. დანებება

ისტორია ლუაიზ ბენთლისა, რომელიც მისის ჯონ ბენთლი გახდა და თავის ქმართან ერთად უაინსბურგში, ელმ სთრითზე, აგურის სახლში დასახლდა, გაუგებრობის ისტორიაა. სანამ ხალხი მიხვდება, როგორები არიან ლუაიზისნაირი ქალები და როგორია მათი ცხოვრება, მათ ბევრი რამ უნდა გაიარონ, შინაარსიანი წიგნები უნდა დაწერონ და შინაარსიანი ცხოვრებით იცხოვრონ. ლუაიზი სუსტი, შრომისგან წელში გატეხილი, იმპულსიური და, ამავე დროს, უხეში და მდიდარი ფანტაზიის უნარის მქონე მამის შვილი იყო, რომელიც ქალიშვილის ამ ქვეყნად მოვლინებას დიდი სიხარულით არ შეხვედრია. ლუაიზი ბავშვობიდან ნერვიული და ზედმეტად მგრძნობიარე ქალი გახლდათ, რომელთა მსგავსი ინდუსტრიალიზმის გვიან პერიოდში ასე მრავლად იყო. ადრეულ ყმაწვილქალობაში ლუაიზი ბენთლების ფერმაში ცხოვრობდა. იგი ჩუმი, პირქუში ბავშვი იყო, რომელსაც ამ ქვეყნად ყველაზე მეტად სიყვარული სწყუროდა, მაგრამ იგი მას ვერ იღებდა. თხუთმეტი წლისა საცხოვრებლად უაინსბურგში, ალბერტ ჰარდის ოჯახში გადავიდა, რომელიც ოთხთვლიანი ეტლებითა და ფურგონებით ვაჭრობდა და, ამავე დროს, ქალაქის განათლების კომიტეტის წევრიც გახლდათ. ლუაიზი უაინსბურგის საშუალო სკოლაში ჩაირიცხა და ალბერტ ჰარდის ოჯახში ცხოვრობდა, რადგან ეს უკანასკნელი მამამისთან მეგობრობდა. უაინსბურგში სატრანსპორტო საშუალებებით მოვაჭრე ჰარდი ისევე, როგორც ათასობით მისი თანამედროვე, განათლებას და განათლებულ ადამიანებს ეთაყვანებოდა. თვითონ ალბერტმა ცხოვრებაში გზა წიგნის გარეშე გაიკაფა, მაგრამ დარწმუნებული იყო, წიგნიერი რომ ყოფილიყო, მის ცხოვრებაში ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მის მაღაზიაში შემოსულ ყველა კლიენტს ამაზე ელაპარაკებოდა და საკუთარ სახლშიც ამ თემაზე მთელ მის ოჯახს ტვინი გამოულაყა. ალბერტ ჰარდის ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ვაჟიშვილს ჯონ ჰარდი ერქვა. ქალიშვილები სულ იმუქრებოდნენ, სწავლა თავს დავანებებთო, მაგრამ მაინც სწავლობდნენ იმდენს, რომ სკოლიდან არ გაერიცხათ. „ვერ ვიტან ვერც წიგნებს და ვერც ვერავის, ვისაც წიგნები უყვარს,“ აღელვებული აცხადებდა ქალიშვილებს შორის უმცროსი, ჰარიეტი.

არც უაინსბურგში და არც ფერმაში ლუაიზი თავს ბედნიერად არ გრძნობდა. იგი წლების განმავლობაში ოცნებობდა იმ დროზე, როცა ცხოვრებაში ფეხს შედგამდა. ჰარდების სახლში გადასვლას იგი თავისუფლების გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად თვლიდა. ყოველთვის, როცა ამაზე ფიქრობდა, ჯეროდა, რომ ქალაქი ის ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც სიცოცხლე ჩქეფდა და სიხარული სუფევდა და, სადაც ადამიანები მეგობრობაში და სიყვარულში ბედნიერად და თავისუფლად

ცხოვრობდნენ. მისი სიტყვებით, ეს ლოყაზე ქარის მსუბუქ ქროლვას გავდა. ბენთლების სახლის წყნარი და უღიმღამო გარემოს შემდეგ ლუაიზი თბილ, მჩქეფარე და სიცოცხლით და ყოველღიურობით სავსე ცხოვრებაზე ოცნებობდა. ჰარდების სახლში ლუაიზს მისი ასეთი მისწრაფებების განხორციელება თავისუფლად შეეძლო, რომ არა შეცდომა, რომელიც მან ქალაქში ჩამოსვლისთანავე დაუშვა.

მერიმ და ჰარიეტმა ლუაიზი სკოლაში კარგად სწავლის გამო აითვალწუნეს. ლუაიზი ჰარდების სახლში სწავლის დაწყების პირველ დღეს ჩამოვიდა და ამიტომ მან სწავლისადმი დების დამოკიდებულებაზე საეროდ არაფერი არ იცოდა. ლუაიზი მორცხვი იყო და პირველ თვეს ვერავის დაუახლოვდა. ყოველ პარასკევ საღამოს ფერმის ერთ-ერთ მოსამსახურეს ლუაიზი უაინსბურგში მიყავდა და უქმეებზე უკან სახლში აბრუნებდა, ამიტომ შაბათ დღეს ლუაიზი ქალაქში ვერ ატარებდა. მორცხვი და მარტოსული ხასიათის გამო იგი დროს ძირითადად სულ მეცადინეობაში ატარებდა. მერის და ჰარიეტს ეჩვენებოდათ, თითქოს მისი სიბეჯითით ლუაიზი დებისთვის პრობლემების განზრახ შექმნას ცდილობდა. ლუაიზს ძალიან უნდოდა თავისი თავი დადებითი კუთხით წარმოეჩინა და ამიტომ მასწავლებლის მიერ კლასში დასმულ ყველა კითხვაზე პასუხს თვითონ ცემდა. როცა იგი თანაკლასელების ნაცვლად კითხვებს თვითონ პასუხობდა, ბედნიერად ეღიმებოდა. „ხომ ხედავთ? მე ამას თქვენთვის ვაკეთებ. ამაზე ნუ იდარდებთ. ყველა კითხვას მე გავცემ პასუხს და სანამ თქვენთან ვიქნები, მთელ კლასს საქმეს გაგიადვილებთ,“ თითქოს თვალებით ეუბნებოდა იგი მათ.

ვაჭარმა ჰარდიმ თაროდან ქუდი ჩამოიღო და წასასვლელად მოემზადა. კარებთან შეჩერდა, მოტრიალდა და გოგოებს მრისხანე მზერა კიდევ ერთხელ ესროლა ესროლა. ისეთი გაცხარებული ჩანდა, რომ ლუაიზს შეეშინდა და თავის ოთახში გაიქცა. ქალიშვილებმა ერთმანეთთან თავ-თავიან საქმეებზე დაიწყეს საუბარი. „ყურადღება მომაქციეთ,“ დაიღრიალა ვაჭარმა. „თქვენ ზარმაცი ტვინები გაქვთ. სწავლისადმი თქვენი ასეთი გულცივობა თქვენს ხასიათზეც მოქმედებს. თქვენ ვერაფერს ვერ მიაღწევთ. დაიმახსოვრეთ, რასაც ახლა გეუბნებით - ლუაიზი თქვენზე იმდენად წინ წავა, რომ მას ვერასოდეს დაეწევით.“ აღელვებული ვაჭარი სახლიდან ქუჩაში გავარდა. იგი სიბრაზისგან ცახცახებდა. მიაბიჯებდა და თან რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა და ილანძღებოდა, მაგრამ როგორც კი მეინ სთრითზე აღმოჩნდა, სიბრაზემ ერთბაშად გადაუარა. გაჩერდა და შემხვედრ ნაცნობ ვაჭრებს და ფერმერებს საუბარი ამინდზე და მოსავალზე ჩამოუგდო. თავისი ქალიშვილები სულ გადაავიწყდა, ან როცა გაახსენდებოდა მხრების ჩეჩვით ფილოსოფიურად ჩაიბუტბუტებდა. „ხო, გოგოები მაინც გოგოებად დარჩებიან“. სახლში კი, როცა ლუაიზი იმ ოთახში დაბრუნდა, სადაც ქალიშვილები ისხდნენ, იგი იქ უკვე თავს ზედმეტად გრძნობდა.

ერთ საღამოს, ჰარდების სახლში ჩამოსვლიდან ექვსი კვირის შემდეგ, მთელი ამ დროის განმავლობაში მისდამი გოგოების მუდმივად გულცივი დამოკიდებულების გამო ლუაიზს ტირილი აუვარდა. „მორჩი ტირილს და შენს ოთახში და შენს წიგნებს დაუბრუნდი," მკვახედ მიუგო მას მერი ჰარდიმ.

ლუაიზის ოთახი ჰარდების სახლის მეორე სართულზე იყო და მისი ფანჯარა ხეხილის ბაღს გადაჰყურებდა. ოთახში ღუმელი იდგა და ყოველ საღამოს ახალგაზრდა ჯონ ჰარდის ერთი გროვა შეშა ამოჰქონდა და კედელთან მდგარ ყუთში ყრიდა. ჰარდებთან ჩასახლებიდან მეორე თვეს ლუაიზს ჰარდების ქალიშვილებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების ყოველგვარი იმედი გადაეწურა და ვახშმის დასრულებისთანავე თავის ოთახში გარბოდა. ლუაიზს ჯონ ჰარდისთან დამეგობრების ფიქრები აეკვიატა. როცა ჯონი შეშაამოიღლიავებული ოთახში შემოდიოდა, ლუაიზი თავს იკატუნებდა, რომ ვითომ მეცადინეობდა. სინამდვილეში, იგი ჯონს თვალს არ აცილებდა. ჯონი შეშას ყუთში რომ ჩაყრიდა და წასასვლელად შეტრიალდებოდა, ლუაიზი თავს დახრიდა და წითლდებოდა. ლუაიზი ყველანაირად ცდილობდა ჯონს დალაპარაკებოდა, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა და მისი წასვლის შემდეგ საკუთარ თავზე ბრაზდებოდა. პროვინციელი გოგონას გონება ახალგაზრდა მამაკაცთან დაახლოების ფიქრებმა შეიპყრო. მას ჯეროდა, რომ ჯონში იმ თვისებებს აღმოაჩენდა, რომლებსაც იგი ზოგადად ადამიანებში მთელი სიცოცხლე ეძებდა. ეჩვენებოდა, რომ მასსა და სხვებს შორის კედელი აღმართულიყო, და რომ თვითონ იგი სიცოცხლის რომელიღაც შიდა თბილი ზონის საზღვარზე ცხოვრობდა, რომელიც სხვებისთვის ღია და გასაგები უნდა გაეხადა. იგი სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მეტი გაბედულება უნდა გამოეჩინა, რათა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა არსებითად შეეცვალა, რაც, ღია კარიდან ოთახში შესვლას გავდა და მას ახალი ცხოვრების დაწყების საშუალებას მისცემდა. ლუაიზი დღედაღამე ამაზე ფიქრობდა, მაგრამ ამ ძლიერ სურვილს სექსთან არანაირი ცნობიერი კავშირი არ ჰქონდა და კონკრეტულ გრძნობაში არ გადაზრდილა. მისი ფიქრები მხოლოდ ჯონ ჰარდის პიროვნების ირგვლივ ტრიალებდა, რადგან იგი მის გვერდით იყო და მისი დებისგან განსხვავებით ჯონი ლუაიზს კარგად ეპყრობოდა.

მერი და ჰარიეტ ჰარდები ასაკით ლუაიზზე უფროსები იყვნენ. ისინი შუა დასავლეთის ქალაქებში მცხოვრები ყველა სხვა ახალგაზრდა ქალების მსგავსად ცხოვრობდნენ. იმ დროს, ახალგაზრდა გოგონები სასწავლებლად ჩვენი ქალაქებიდან ქვეყნის დასავლეთ ნაწილის კოლეჯებში არ მიემგზავრებოდნენ და სოციალურ კლასების იდეებიც ჯერ კიდევ თითქმის არ არსებობდა. მუშის, ფერმერის და ვაჭრის ქალიშვილი თითქმის ერთი და იმავე სოციალურ საფეხურზე იდგნენ და, როგორც ასეთი, მცონარი კლასი ჯერ კიდევ არ არსებობდა. გოგონა ან „კარგი გარეგნობის" იყო, ან არა. თუ მას „კარგი გარეგნობა"

ჰქონდა, მის სანახავად გოგონას სახლში კვირაობით და ოთხშაბათ საღამოს ახალგაზრდა მამაკაცი დადიოდა. ზოგჯერ, გოგონა და მისი ახალგაზრდა თაყვანისმცემელი ერთად საცეკვაოდ ან ეკლესიაში მიდიოდნენ. სხვა შემთხვევაში, გოგონა მამაკაცს საკუთარ სახლში ხვდებოდა და შეხვედრის დროს წყვილი სასტუმრო ოთახით სარგებლობდა. მათ ხელს არავინ უშლიდა. ისინი საათობით დახურულ კარს მიღმა ისხდნენ. ზოგჯერ შუქი ქვრებოდა და ახალგაზრდები ერთმანეთს ეალერსებოდნენ. მათ ლოყები უხურდათ და თმა ებურძგნებოდათ. ერთი ან ორი წლის შემდეგ, თუ მათი შინაგანი იმპულსები უფრო ძლიერი და შეუპოვარი ხდებოდა, მათი ურთიერთობა ქორწინებით მთავრდებოდა.

ლუაიზმა გადაწყვიტა გაბედულება მოეკრიბა, რაზეც რამდენიმე კვირის განმავლობაში ფიქრობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ჯონ ჰარდი ხეხილის ბაღში ლუაიზის ფანჯრების ქვეშ დაიმალა. ამიტომ, მას უნდოდა ჯონი მოეძებნა და მისთვის ეთქვა, რომ სურდა მასთან მოსულიყო, გულში ჩაეკრა და მისთვის მისი ფიქრები და ოცნებები გაენდო და, ამავე დროს, ლუაიზის ფიქრები და ოცნებები მოესმინა. „სიბნელეში გულის გადაშლა უფრო ადვილი იქნება," წაიჩურჩულა მან თავისთვის საწოლ ოთახში კარებთან მდგომმა. შემდეგ კი , მოულოდნელად ლუაიზი მიხვდა, რომ იგი ოთახში მარტო არ იყო. სასტუმ რო ოთახში, კარების მოპირდაპირე მხარეს მამაკაცის ჩურჩული გაისმა და კარები გაიღო. ლუაიზმა კიბის ქვეშ პატარა ნიშაში დამალვა ძლივს მოასწრო, როცა პატარა ბნელ ოთახში ახალგაზრდა მამაკაცის თანხლებით მერი ჰარდი შემოვიდა. ლუაიზი მთელი საათი სიბნელეში იატაკზე მოკუნტული იჯდა და უსმენდა. იმ საღამოს მერი ჰარდის და მისი თაყვანისმცემელი მამაკაცის ურთიერთობა პროვინციელი გოგონასთვის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პირველი გაკვეთილი იყო. ლუაიზს თავი ძირს დაეხარა და ასეთ პოზაში ერთ პაწაწინა ბურთათ შეკრული იატაკზე გარინდებული იწვა. მის წარმოდგენაში, ღმერთის რომელიღაც უცნაური ძალით მერი ჰარდის დიდი საჩუქარი ერგო. ლუაიზს მასზე უფროსი ქალის ჯიუტი პროტესტი ნაკლებად ესმოდა. ახალგაზრდა მამაკაცმა მერი ჰარდი მკლავებში მოიქცია და აკოცა. ქალიშვილი წინააღმდეგობას უწევდა და იცინოდა, მამაკაცი კი გულში უფრო და უფრო მაგრად იკრავდა. წყვილის ურთიერთბრძოლა ერთი საათი გაგრძელდა, რის შემდეგაც ისინი სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, ლუაიზიმ კი კიბეებზე აირბინა. „იმედია, ჩუმად იყავით. სწავლაში ჩაფლული პატარა თაგუნია არ შეაწუხოთ, „ გაიგონა ლუაიზმა ჰარიეტის სიტყვები, რომელიც კორიდორში საკუთარი ოთახის კარებთან იდგა.

ლუაიზმა ჯონ ჰარდის ბარათი მიწერა და გვიან ღამეს, როდესაც სახლში ყველას ეძინა, ჩუმად ქვედა სართულზე ჩავიდა და ბარათი ჯონის კარის ქვეშ შეაცურა. მას ეშინოდა, რომ თუ სწრაფად არ იმოქმედებდა, სხვა დროს იგივეს გაკეთებას ვეღარ გაბედავდა. ბარათში ლუაიზი შეეცადა მისი სურვილი რაც შეიძლება ნათლად

ჩამოეყალიბებინა. „მინდა ვინმეს ვუყვარდე და მეც მიყვარდეს,“ წერდა იგი. „თუ შენ ჩემთვის ის ხარ, მინდა ღამით ხეხილის ბაღში მოხვიდე და ჩემი ფანჯრის ქვეშ ახმაურდე. მე ფარდულზე გადავძვრები და შენთან მოვალ. სულ ამაზე ვფიქრობ. ასე რომ, თუ საერთოდ მოსვლას აპირებ, ჩქარა მოდი.“

ლუაიზს წარმოდგენა არ ჰქონდა საყვარლის გაჩენის მის ასეთ გაბედულ მცდელობას რა შედეგი მოყვებოდა. გარკვეულწილად, იგი ჯერ კიდევ ბოლომდე დარწმუნებული არ იყო საერთოდ უნდოდა თუ არა, რომ ჯონი მოსულიყო. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ცხოვრების მთელი საიდუმლოება მკლავების ძლიერად მოხვევაში და კოცნაში მდგომარეობდა. მოგვიანებით , მას ახალი გრძნობა დაეუფლა და საშინლად შეეშინდა. ისევე როგორც საუკუნის ასაკის ქალს, მასაც სურდა ვინმე დაუფლებოდა, მაგრამ ეს აზრი ისეთი ბუნდოვანი იყო, რომ მის წარმოდგენაში მისი ხელის ჯონ ჰარდის ხელთან შეხებაც კი მისთვის საკმარისი იქნებოდა. სურდა გაეგო, მიხვდა თუ არა ჯონი ყველაფერს ამას.

მეორე დღეს, სადილობის დროს, სანამ ალბერტ ჰარდი ლაპარაკობდა, ხოლო მისი ორი ქალიშვილი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ლუაიზს სუფრასთან ჯონისთვის არ შეუხედავს და სადილის დასრულებისთანავე გაქრა. საღამოს, ლუაიზი სახლიდან გავიდა და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა დარწმუნდა, რომ ჯონმა ოთახში შეშა შეიტანა და წავიდა. როცა რამდენიმე დღის დაძაბული ლოდინის შემდეგ ლუაიზმა ხეხილის ბაღის სიბნელიდან ვერანაირი ძახილის ხმა ვერ გაიგონა, იგი მწუხარებისგან კინაღამ შეიშალა და გადაწყვიტა, რომ მას არანაირი შანსი აღარ ჰქონდა ის კედელი გაერღვია, რომელმაც მას ცხოვრების სიხარულისგან გზა გადაუკეტა.

ფერმის მოსამსახურე ახალგაზრდა შავ ხუჭუჭა თმიან ყმაწვილს პარასკევ საღამოს ლუაიზის წასაყვანად ჩამოსვლა დააგვიანდა. ამიტომ, მათ მგზავრობა სიბნელეში მოუწიათ. ლუაიზი, რომელიც ჯონ ჰარდიზე ფიქრობდა, შეეცადა სოფლელ ბიჭთან საუბარი გაება, მაგრამ ბიჭი დაბნეული ჩანდა და პასუხს არ გასცა. ლუაიზი მის მარტოსულ ბავშვობაზე ფიქრობდა და უეცრად მისი ახლანდელი მარტოობის ტკივილი მწვავედ შეიგრძნო. „ყველა მძულს,“ აღმოხდა მას უცაბედად და ზედ სიძულვილის სიტყვების ისეთი კორიანტელი მიაყოლა, რომ მისი თანამგზავრი ბიჭი ცოტა არ იყოს შეაშინა. „მამაჩემიც მძულს და ბებერი ჰარდიც და ის სკოლაც მძულს, სადაც ვსწავლობ.“ თქვა მან. ლუაიზმა ბიჭი კიდევ უფრო შეაშინა, როცა თავი მ ისკენ მიაბრუნა და ლოყა მხარზე დაადო. სადღაც ბუნდოვნად იმედი ჰქონდა, რომ ბიჭი, იმ ახალგაზრდა მამაკაცის მსგავსად, რომელიც მერის სიბნელეში ეალერსებოდა, ხელს გადახვევდა და აკოცებდა, მაგრამ სოფლელი ბიჭი დაბნეული გამოიყურებოდა. მან ცხენს მათრახი გადაუჭირა და სტვენა დაიწყო, „საშინელი გზაა, არა?“ წარმოთქვა მან ხმამაღლა. ლუაიზი ისე გაბრაზდა, რომ ბიჭის ქუდს მისწვდა, თავიდან მოხადა და გზაზე

მოისროლა. როცა ბიჭი ეტლიდან ქუდის მოსატანად გადახტა, ლუიზმა ეტლი დაძრა და ბიჭი აიძულა ფერმამდე მთელი გზა უკან ფეხით გაყოლოდა.

ლუაიზ ბენთლი ჯონ ჰარდის საყვარელი გახდა. ეს ის არ იყო, რაც მას უნდოდა, მაგრამ მის მიმართ ქალის ასეთი დამოკიდებულება ახალგაზრდა კაცმა სხვანაირად ვერ გაშიფრა. ლუაიზს კი ისე ძალიან უნდოდა მისი გრძნობა უპასუხოდ არ დარჩენილიყო, რომ წინააღმდეგობა არც კი გაუწევია. როცა რამდენიმე თვის შემდეგ ქალ-ვაჟი ლუაიზის შესაძლო დაფეხმძიმებაზე დაფიქრდა, ერთ საღამოს ორივე ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრში გაემგზავრნენ და იქ დაქორწინდნენ. წყვილი რამდენიმე თვე ჰარდების სახლში ცხოვრობდა, მოგვიანებით კი სახლი ცალკე იქირავეს. ქორწინების მთელი პირველი წლის განმავლობაში ლუაიზი ყველანაირად ცდილობდა ქმარს მისი ბუნდოვანი, მაგრამ ძლიერი წყურვილი ეგრძნო, რომელმაც მას უბიძგა ჯონისთვის ბარათი მიეწერა და მიეხვედრებინა, რომ ლუ აიზს ეს წყურვილი დღემდე აწვალებდა. იგი ქმარს მკლავებში მრავალჯერ ჩაუგორდა და მასთან ამის შესახებ დალაპარაკება სცადა, მაგრამ ამაოდ. ჯონს ქალის და მამაკაცის სიყვარულზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ ცოლისთვის მოესმინა, იგი მას ბაგეებს უკოცნიდა. ყველაფერმა ამან ლუაიზს თავგზა ისე აუბნია, რომ ქმარს კოცნაზეც კი უარს ეუბნებოდა. ზოგადად, რა უნდოდა, თვითონაც არ იცოდა.

იმ ვნებათაღელვამ, რომელმაც წყვილი ქორწინებამდე მიიყვანა და, რომელიც ბოლოს და ბოლოს თვალსა და ხელს შუა გაქრა, ლუაიზი გაანაწყენა, რის გამოც იგი ქმარს მკვახე და შეურაცხმყოფელ სიტყვებით ამკობდა. მოგვიანებით, როცა მათი ვაჟი დეივიდი დაიბადა, ლუაიზმა ბიჭზე ზრუნვაზე ხელი აიღო. ისიც არ იცოდა, საერთოდ შვილი თუ უნდოდა. ზოგჯერ, იგი შვილთან ერთად ოთახში მთელი დღე რჩებოდა, მის ახლოს მიდი-მოდიოდა და დროდადრო ბიჭთან ახლოს მიჩოჩდებოდა და მის ხელებს ნაზად ეხებოდა. სხვა დროს კი მას ბავშვის ნახვა და მასთან სიახლოვეც კი არ უნდოა. როცა ჯონ ჰარდიმ ცოლს მისი უგულობის გამო უსაყვედურა, ლუაიზს გაეცინა. „იგი მამაკაცია და რაც თავად უნდოდა, ი სედაც მიიღებს," მიუგო მან მკვახედ ქმარს. ჭალი რომ იყოს, ამ ქვეყანაზე მისთვის არაფერს დავიშურებდი.

თავი IV. შიში

დეივიდ ჰარდი დედამისს გავდა. იგიც მასსავით გამხდარი და მაღალი იყო. თხუთმეტის წლის რომ გახდა, ისეთი რამ შეემთხვა, რამაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა და მისი მშვიდი ადგილსამყოფელიდან გარე სამყაროში გადაისროლა. მისი ცხოვრების ყოველდღიური გარემოებების ნიჟარა დაიმსხვრა და ბიჭმა ფეხი ახალ ცხოვრებაში შეაბიჯა. დეივიდმა უაინსბურგი დატოვა და მას შემდეგ იგი იქ აღარავის უნახავს. მისი გაუჩინარების შემდეგ, მისი დედა და ბაბუა დაიხოცნენ, მამამისი კი ძალიან მდიდარი კაცი გახდა. მან შვილის ძებნაზე დიდი ფული დახარჯა. თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა.

ის წელი ბენთლის ფერმისთვის განსაკუთრებული იყო. გვიანი შემოდგომა იდგა. ყველგან დიდი მოსავალი მოვიდა. გაზაფხულზე ჯესიმ უაინ კრიკის ველზე შავნიადაგიანი დაჭაობებული მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძინა. მას მიწა ხელში დაბალ ფასად ჩაუვარდა, მაგრამ მის გაუმჯობესებაზე დიდი თანხა დახარჯა. მიწაზე ქვებით მოკირწყლული უზარმაზარი არხები გაიყვანა. მის მიერ გაწეულ ხარჯებზე მეზობელი ფერმერები თავს აქნევდნენ. ზოგ მათგანს ეცინებოდა და მოლოდინი ჰქონდა, რომ ჯესის მიერ წამოწყებული სარისკო საქმე წამგებიანი აღმოჩნდებოდა, მაგრამ მოხუცი ფერმერი თავის საქმეს ჩუმად და უსიტყვოდ აკეთებდა. მიწის დაშრობის შემდეგ მასზე კომბოსტო და ნიორი დათესა, რითაც მეზობლები კიდევ ერთხელ გააცინა. უზარმაზარი მოსავალი მოვიდა და კარგ ფასადაც გაიყიდა. ჯესიმ ერთ წელიწადში იმდენი ფული იშოვა, რომ მიწის მოსამზადებელი სამუშაოების ყველა ხარჯი დაფარა და ზედმეტიც დარჩა, რამაც მას დამატებით კიდევ ორი ფერმის შეძენის საშუალება მისცა. ჯესი გახარებული იყო, კმაყოფილებას ვერ მალავდა. მისი ფერმერობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად იგი მის ფერმერ კოლეგებს შორის გაღიმებული დადიოდა. დაჭაობებული ნაყოფიერი შავნიადაგიანი მიწის ნაკვეთის დარჩენილ აკრებზე მუშახელის ხარჯები რომ შეემცირებინა, ჯესიმ უამრავი ახალი მანქანა-დანადგარები შეიძინა. ერთ დღესაც, იგი უაინსბურგში ჩავიდა და დეივიდისთვის ველოსიპედი და ერთი ხელი ახალი ტანისამოსი იყიდა, მის ორ დაიკოს კი ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის სასულიერო სასწავლებელში სწავლის ფული გადაუხადა.

შემოდგომაზე ყინვები დაიჭირა და უაინ კრიკის ტყეებში ხეები გადაყვითლდა. დეივიდი სწავლისგან თავისუფალ ყოველ წუთს ღია ცის ქვეშ ატარებდა. ყოველ შუადღეს, ბიჭებთან ერთად ან მარტო თხილის საკრეფად ტყეში დადიოდა. მისი სხვა თანასოფლელი ბიჭები, ძირითადად ბენთლების ფერმის მუშების შვილები, თოფებით შეიარაღებულები კურდღლებზე და ციყვებზე სანადიროდ დადიოდნენ, მაგრამ დეივიდი მათ არ მიყვებოდა. მან თავისთვის

რეზინის ღვედებიანი შურდული და წვეტიანი ჯოხი გაიკეთა და მარტოდ მარტო თხილის შესაგროვებლად დადიოდა. ასეთი ვოიაჟების დროს დეივიდი ყოველთვეს რაღაცაზე ფიქრობდა. მას ესმოდა, რომ იგი უკვე თითქმის მოწიფული მამაკაცი იყო და მომავალი ცხოვრება აფიქრებდა, მაგრამ მისი ფიქრები კონკრეტული მიზნისკენ მიმავალ გზაზევე საპნის ბუშტებივით ქრებოდნენ და დეივიდი კვლავ პატარა ბიჭად რჩებოდა. ერთხელ, მან ციყვი მოკლა, რომელიც ხის დაბალ ტოტზე იჯდა და ბიჭს თავის ენაზე რაღაცას ეტიტინებოდა. დეივიდმა ციყვი სახლში მიიტანა. ბენთლების ერთ-ერთმა დამ ციყვის ხორცისგან კერძი მოუმზადა და ბიჭმაც იგი მადიანად მიირთვა. ციყვის ტყავი კი მან ხის დაფაზე დააკრა და დაფა მისი საწოლი ოთახის ფანჯრიდან თოკით გადაკიდა. ამ შემთხვევამ მას ახალი ბიძგი მისცა. ამის შემდეგ იგი ტყეში ჯიბეში შურდულის გარეშე არასოდეს მიდიოდა და დროს ხეების გაყვითლებულ ფოთლებს შორის დამალულ წარმოსახვით ცხოველებზე ნადირობაში კლავდა. იგი მომავალზე აღარ ფიქრობდა და კმაყოფილი იყო, რომ კვლავ ისევ ის პატარა ბიჭი იყო და მისი ასაკის შესაფერისი სურვილებით ცხოვრობდა.

შაბათ დილას, როდესაც დეივიდმა ჯიბეში შურდულით და მხარზე გადაკიდებული თხილით სავსე ტომრით ტყეში წასვლა დააპირა, იგი ბაბუამ გააჩერა. მოხუცს სერიოზული და დაძაბული გამომეტყველება ჰქონდა, რაც დეივიდს ყოველთვის შიშს გვრიდა. ასეთ დროს, ჯესი ბენთლის თვალები წინ კი არ იყურებოდნენ, არამედ გაყინული და უაზრო გამომეტყველებით თითქოს სადღაც შორს სიცარიელეს მიჩერებოდნენ. მოხუცსა და დანარჩენ სამყაროს შორის უხილავი ფარდის მსგავსი რამ ეშვებოდა. „მინდა, ჩემთან ერთად წამოხვიდე,: მოკლედ წარმოსთქვა ჯესიმ და თვალები ბიჭის თავს ზემოთ ზეცას მიაპყრო. „დღეს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გავაკეთოთ. თუ გინდა, შეგიძლია ტომარა წამოიღო და თხილი შეაგროვო. ჩემითვის სულ ერთია. სხვათა შორის, ჩვენ ტყეში მივდივართ.“ ჯესი და დეივიდი ბენთლების ფერმიდან თეთრ ცხენ შებმული ძველი ფაეტონით გაემგზავრნენ. მათ საკმაოდ დიდი მანძილი ისე გაიარეს, რომ არცერთ ხმა არ ამოუღია. ფაეტონი მინდვრის პირას გაჩერდა, სადაც ცხვრის ფარა ძოვდა. ფარაში თვალი ბატკანს მოკრეს, რომელიც, როგორც ჩანს, შეცდომით სხვა სეზონზე დაიბადა. დეივიდმა და ბაბუამისმა ბატკანი დაიჭირეს და თოკით ფეხები შეუკრეს. ცხოველი პატარა თეთრ ბურთს დაემსგავსა. როცა გზა გააგრძელეს, ჯესიმ დეივიდს ბატკანი ხელში დააჭერინა. „გუშინ ვნახე და გადავწყვიტე გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც დიდი ხანია მინდა,“ თქვა მან და გაყინული და უაზრო მზერა კვლავ სადღაც შორს ბიჭის თავს ზევით მიმართა. იმ სიხარულისგან განსხვავებით, რომელმაც მოხუც ფერმერს წარმატებულმა წელმა მოუტანა, მას ეხლა სულ სხვა განწყობილება დაეუფლა. ჯესიმ გზა ფეხით მარტომ გააგრძელა. იგი ღმერთზე ფიქრობდა. თავის თავს ძველი დროის გმირებთან აიგივებდა. ცა

ვარსკვლავებით განათდა. მოხუცმა სველ ბალახზე ჩაიმუხლა და ხმამაღლა ლოცვას მოყვა. წარმოიდგინა, ვითომ იმ ბიბლიური გმირის მსგავსად ღმერთს მსხვერპლს სწირავდა. „ღმერთმა უხვი მოსავალი მომცა და კიდევ ბიჭი გამომიგზავნა სახელად დეივიდი," ჩურჩულებდა იგი თავისთვის. „იქნებ ეს დიდი ხნის წინ უნდა გამეკეთებინა." ნანობდა, რომ მას ეს აზრი მისი ქალიშვილის ლუაიზის დაბადებამდე არ მოუვიდა და დარწმუნებული იყო, რომ ახლა, როცა მან ტყეში კოცონი გააჩაღა და მსხვერპლშეწირვის ცეცხლზე ბატკანი უნდა დაეწვა, მას ღმერთი გამოეცხადებოდა და რაღაც ახალ ამბავს ამცნობდა. ამაზე ფიქრობდა, მაგრამ უცბად ფიქრი დეივიდზე გადაიტანა და მისი მგზნებარე ეგოიზმი ნაწილობრივ დავიწყებას მიეცა. „დროა, ბიჭმა ფეხი ახალ ცხოვრებაში შედგას. ღვთის სიტყვაც მის შესახებ იქნება. ღმერთი მას გზას უჩვენებს. ის მეტყვის დეივიდს ამ ცხოვრებაში რა მისია დაეკისრება, ახალ გზას როდის შეუდგება. თუ გამიმართლებს და ღვთის ანგელოზი გამომეცხადება, დეივიდი კაცთა წინაშე ღვთის მშვენიერების და დიდების გამოცხადებას იხილავს და თვითონ ისიც ჭეშმარიტი ღვთის კაცი გახდება," ფიქრობდა თავისთვის მოხუცი. ასეთ ორმხრივ მდუმარებაში ჯესი და დეივიდი იმ ადგილამდე მივიდნენ, სადაც ჯესიმ ერთხელ უკვე უხმო უფალს და მისი შვილიშვილიც გვარიანად შეაშინა. მზიანი და ნათელი დილა იდგა, მაგრამ ცოტა ხანში ცივმა ქარმა დაუბერა და მზე ღრუბლებში მიიმალა. დეივიდმა ნაცნობი ადგილი დაინახა თუ არა, შიშისგან კანკალი აუვარდა. ისინი ხიდთან გაჩერდნენ, ხეებს შორის, ღია ადგილას, ხრამის გვერდით. დეივიდს ფაეტონიდან გადახტომა და გაქცევა მოუნდა. მის გონებაში გაქცევის რამდენიმე გეგმა მწიფდებოდა. ჯესიმ ცხენი გააჩერა, ღობეზე გადაძვრა და ტყეში შევიდა. დეივიდი ბაბუას მიყვა. „სისულელეა, ტყუილად მეშინია. არაფერი მოხდება," ფიქრობდა დეივიდი და გზა გააგრძელა. ბატკანი ხელში ეჭირა, რომელიც ისეთი უმწეო ჩანდა, რომ დეივიდს გული მოეცა. გრძნობდა ცხოველს გული რა ჩქარა უცემდა. თვითონ დეივიდს კი გული საგულეში ჰქონდა. სანამ ჩქარი ნაბიჯით ბაბუას უკან მიყვებოდა, დეივიდმა ბატკანს ფეხები ბაწრისგან გაუთავისუფლა. „თუ რამე მოხდა, ერთად გავიქცევით," გაიფიქრა მან.

ბაბუა და შვილიშვილი გზიდან გადავიდნენ და რაღაც მანძილის გავლის შემდეგ ხევთან ახლოს ბუჩქნარით დაფარულ ადგილას შეჩერდნენ. მოხუცი კვლავ ჩუმად იყო, მაგრამ სასწრაფოდ მშრალი ტოტები შეაგროვა და ცეცხლი მოუკიდა. ბიჭი მიწაზე იჯდა და ხელში ბატკანი ეჭირა. იგი მოხუცის ყოველ მოძრაობას ყურადღებით აკვირდებოდა და შიში სულ უფრო და უფრო იპყრობდა. „ბატკნის სისხლი ბიჭს თავზე უნდა დავასხა," წაიჩურჩულა ჯესიმ, როცა ცეცხლი ტოტებზე აბრიალდა. ჯესიმ ჯიბიდან გრძელი დანა ამოიღო, მიტრიალდა და დეივიდისკენ წავიდა. დეივიდი პანიკამ აიტანა. შიშისგან გული აერია. იგრძნო, სხეული როგორ უშეშდებოდა და ფეხზე წამოვარდა. სახე

ბატკნის მატყლივით თეთრი გაუხდა. ბატკანმა თავი გაინთავისუფლა და სირბილით გორაკზე დაეშვა. დეივიდიც უკან მიყვა. შიშისგან თითქოს მიფრინავდა. დაბალ ბუჩქებს და კუნძებს შეშლილივით ახტებოდა. სირბილის დროს ხელი ჯიბეში ჩაიყო და ხის ტოტი ამოიღო, რომელზეც ციყვზე სანადირო შურდული ეკიდა. ბიჭი ხევში დაეშვა და ქვებს შორის გამდინარე ნაკადულში დგაფუნით მირბოდა. უკან მიიხედა და დაინახა, რომ ბაბუა მისდევდა. ჯესის ხელში გრძელი დანა მაგრად ჩაებღუჯა. ბიჭი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ძირს დაიხარა, ქვა აიღო და შურდულში ჩადო. შემდეგ, რეზინის ღვედები მთელი ძალით თავისკენ მოქაჩა და ქვამ ჰაერში გაიზუზუნა. იგი ჯესის პირდაპირ თავში მოხვდა. მოხუცს ბიჭის არსებობა საერთოდ აღარ ახსოვდა. იგი ბატკანს მისდევდა. ჯესიმ ერთი ამოიგმინა, წინ გადავარდა და თითქმის ბიჭის ფეხებთან დაეცა. როცა დეივიდმა დაინახა, რომ მოხუცი მიწაზე გაუნძრევლად იწვა და აშკარად ცოცხალი აღარ იყო, მისი შიში უსაზღვრო პანიკაში გადაიზარდა. ბიჭმა ერთი დაიყვირა და ტყეში გაიქცა. „მე ის მოვკალი, მაგრამ ჩემთვის სულერთია,“ გულამომჯდარი სლუკუნებდა იგი. დეივიდი გაიქცა და გადაწყვიტა არც ბენთლების ფერმაში და არც უაინსბურგში აღარასოდეს დაბრუნებულიყო. „მე ღვთის კაცი მოვკალი, მაგრამ კაცი უნდა გამოვიდე და ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო, „ მტკიცედ წარმოთქვა მან და სირბილი შეწყვიტა. დეივიდი გზაზე დაეშვა, რომელიც უაინ კრიკს გვერდით მიუყვებოდა და დასავლეთისკენ მინდვრებში და ტყეებზე გადიოდა.

ხევის პირას მიწაზე მწოლიარე ჯესი ბენთლი გონს მოეგო, ამოიკვნესა და თვალი გაახილა. დიდი ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იწვა და ცას შეჰყურებდა. ფეხზე რომ წამოდგა, გონება არეული ჰქონდა და ბიჭის გაუჩინარება არ გაკვირვებია. იგი გზის პირას მორზე ჩამოჯდა და ისევ ღმერთის შესახებ დაიწყო ლაპარაკი. სულ ეს იყო, რასაც იგი მოგვიანებით სხვების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად ყვებოდა. როგორც კი ვინმე დეივიდის სახელს უხსენებდა, უაზროდ მიაჩერდებოდა და ბიჭი უფლის ანგელოზმა წაიყვანაო, პასუხობდა. „ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ მე დიდებას დავხარბდი,“ ამბობდა იგი და ამის გარდა აღარაფერს ამატებდა.